HELLO! GEORGIA
#011 • ივნისი 2017 • 4.00₾



ECO-FRIENDLY
Lifestyle

CANNES
Film Festival
2017

პიპა მიდლტონი
წლის ქორწილის
ექსკლუზიური დეტალები

PRIME SHOW
ახალი თოქ-შოუს მთავარი გმირები

ISSUN 2449-2590





# KING DAVID

## LIMITED EDITION

## მუკუზნის საფერავი

ქართული პრემიალური ღვინო




ესპანელი მხატვრის

**აუგუსტო ფერერ დალმაუს**

ტილოზე აღბეჭდილი ქართული ისტორია

## რედაქტორის წერილი



*როგორც იქნა, ზაფხული მოვიდა და თან ცხელ-ცხელი სიახლეები მოგვიტანა. გმადლობთ, რომ კვლავ HELLO!-ს კითხულობთ და ჩვენს ჟურნალს ასე ენდობით. იმედს ამჯერადაც არ გაგიცრუებთ.*

გრძელდება მეგაშოუ **„ცეკვავენ ვარსკვლავები“**, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაზე გამორჩეულ წყვილებს კვლავ ჩვენს ფურცლებზე იხილავთ. **HELLO!**-ს ექსკლუზიური სტუმარი იქნება **გვანცა დარასელიაც**, რომელიც მეორე შვილს პირველად სწორედ ჩვენს ჟურნალში გამოაჩენს. ტელეწამყვანი, ლილესა და მისი უფროსი ძმის – ერეკლეს ურთიერთობის დეტალებსა და ოჯახური ჰარმონიის საიდუმლოს გაგვიმხელს. ასევე ჩვენს ფურცლებზე შეხვდებით **A2K**-ს – პირველ ქართველ DJ-ის, რომელიც **Mercedes-Benz Fashion Week**-ის თბილისური კვირეულის ფარგლებში უკრავდა.

რაც შეეხება მსოფლიო ვარსკვლავებს, **HELLO!**-ს მთავარი გმირი **პიპა მიდლტონი** იქნება. კეიტ მიდლტონის დამ ახალი ცხოვრება **ჯეიმს მეთიუსთან** ერთად დაიწყო და გრანდიოზული ქორწილით თავი მთელ მსოფლიოს დაამახსოვრა. ჩვენი ჟურნალი ამ ზღაპ-რული წვეულების ყველა დეტალს ექსკლუზიურად გაგაცნობთ.

**HELLO! „შატო მუხრანსაც“** ეწვია და ისტორიული მამული გლამურული ფოტოსესიის ლოკაციად გადააქცია. ჩვენს ფურცლებზე თავად ნახავთ, როგორია თანამედროვე ქალის მოგზაურობა მეფურ წარსულში.

LIFESTYLE-ის რუბრიკა ამ თვეში მთლიანად ეთმობა **ECO-FRIENDLY** ბრენდებსა და **ჯანსაღი „სმუზების“ ფერებით** ინსპირირებულ მოდურ ტონალობებს. ცხადია ჩვენი ყურადღების მიღმა არც თბილისის **Mercedes-Benz Fashion Week**-ი დარჩენილა. საკმაოდ ვრცელ მიმოხილვაში იმ ძირითად ტენდენციებს გაგაცნობთ, რომლებიც თბილისურ ჩვენებებზე გამოვარჩიეთ.

რაც შეეხება სილამაზესა და თავის მოვლის ბლოკს, ამჯერად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას, ნატურალურ კოსმეტიკასა და ბუნებრივ ინგრედიენტებზე დამზადებულ თავის მოვლის საშუალებებს მიმოვიხილავთ.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ინტერესისა და ერთგულებისთვის. გისურვებთ, რომ ამ ზაფხულმა თავი დაუჯერებელი თავგადასავლებით, მხიარული მოგონებებითა და ყველაზე დადებითი ემოციებით დაგამახსოვროთ...

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*

### რედაქტორის არჩევანი



გვ. 8








გვ. 126



გვ. 88



CHÂTEAU MUKHRANI
DEPUIS 1878
CHÂTEAU MUKHRANI
DEPUIS 1878
SAPERAVI
საფერავი
2013
GRAND VIN DE GÉORGIE
REFLECTION OF NOBILITY
SINCE 1878, CHÂTEAU MUKHRANI HAS BEEN CRAFTING THE FINEST WINES OF GEORGIA. IN THE REGION OF KARTLI, WE UNITE HISTORY, A CONTEMPORARY WINERY AND WINE TOURISM.

HELLO! GEORGIA
#011 • ივნისი • 2017

# სარჩევი





გვანცა დარასელია 30



ცეკვავენ ვარსკვლავები 22

36 CANNES 2017



A2K 60

## ვარსკვლავური ისტორიები


8 **პიპა მიდლტონი & ჯეიმს მეთიუსი** სამეფო ქორწილის ექსკლუზიური დეტალები

22 **ცეკვავენ ვარსკვლავები** მეგაშოუს გამორჩეული წყვილები ახალი გამოწვევების წინაშე

30 **გვანცა დარასელია** ორი შვილის დედის ამპლუაში & ლილეს პირველი ფოტოსესია

36 **კანის კინოფესტივალის** ვრცელი მიმოხილვა და ტრენდები წითელი ხალიჩიდან

48 **PRIME SHOW** – ახალი თოქ-შოუს მთავარი გმირები HELLO!-ს ობიექტივში

60 **A2K** – ახალგაზრდა ქართველი დიჯეი MBFW-იდან


## მუდმივი რუბრიკები


44 **PANORAMA** – „ქართველი“ მომღერალი ღვინო

46 **30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა

56 **INSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან

130 **HALF HOUR** – ვაიოლა დევისი


დასაწ. 77 გვ.-დან

**lifestyle**

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია






- მაღალი ხარისხის, წყალგამძლე ტონალური კრემი ნატურალური დაფარვის ეფექტით – უზრუნველყოფს კანის ერთგვაროვნებას
- იდეალურად ფარავს ნებისმიერ დეფექტს
- დამზადებულია ნატურალური ინგრედიენტების ბაზაზე
- მსუბუქი ტექსტურა უზრუნველყოფს კომფორტის შეგრძნებას მთელი დღის მანძილზე
- წარმოდგენილია 7 ტონში
- მოცულობა 35 მლ

ლოტუსი
აფაქიძის ქ. 11, თბილისი; ტელ.: 995 (032) 2 903 803
www.delfycosmetics.com DelfyCosmetics Delfycosmetics
Delfy
LONDON MAKE-UP

### მომავალი მეფეები, დედოფლები, პრინცები და პრინცესები ზღაპრული ქორწილის ირგვლივ გაერთიანდნენ

# პიპა მიდლტონი & ჯეიმს მეთიუსი

## სამეფო პროტოკოლის სრული დაცვით დაოჯახდნენ

### „წლის ქორწილად“ აღიარებული დღის დეტალები & კეიტ მიდლტონი პატარძლის დის ამპლუაში



და აი, პიპას ჯერიც დადგა! კეიტ მიდლტონის მთავარმა მეჯვარემ საკურთხევლისკენ მიმავალი გზა ამჯერად თვითონ გაიარა და მნიშვნელოვანი ფიციც მთელი მსოფლიოს წინაშე დადო. სამეფო ქორწილიდან ექვსწლიანი პაუზის შემდეგ, საზოგადოება მოუთმენლად ელოდა დღეს, რომელიც მიდლტონების ცხოვრებას კიდევ ერთხელ შეცვლიდა... ამბავი, რომელმაც მეფე-დედოფალი, ჰერცოგი, ჰერცოგინია, პრინცები და პრინცესები გააერთიანა, ნამდვილ ზღაპარს მოგაგონებდათ. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც წინასწარ იყო დაგეგმილი და როგორც წინა ნომერშიც გიამბობდით. ბრიტანელი GILES DEACON-ის კაბაში გამოწყობილი 33 წლის პატარძალი მზესავით ანათებდა და მამასთან ერთად ოცნების მამაკაცისკენ მიაბიჯებდა. 41 წლის ჯეიმს მეთიუსი კი საკურთხეველთან ელოდა ქალს, რომელსაც მალე სამუდამო ერთგულებას შეჰფიცავდა.

#### ტრადიციული ნეფე

იმაზე, რომ მთელ ცერემონიას ძველებური ხიბლი ჰქონოდა, ჯეიმს მეთიუსმა თავიდანვე იზრუნა და დანიშნულების ადგილზე 30 წუთით ადრე გამოცხადდა. ელეგანტურ პიჯაკსა და ლურჯ ჟილეტში გამოწყობილი ჯენტლმენი, რომელიც წარმატებული ბიზნესმენი და ფინანსისტია, ბედნიერებისგან ბრწყინავდა და მოუთმენლად ელოდებოდა ქალს, რომელსაც რამდენიმე წუთში ცხოვრებას სამუდამოდ დაუკავშირებდა. სიამაყე, ბედნიერება და მღელვარება მის სახეზე ერთდროულად იკითხებოდა. სტუმრებს კი მისი 27 წლის ძმა – სპენსერი ეგებებოდა, რომელიც მეჯვარის მოვალეობებთან ერთად ყველა საჭირო როლს ითავსებდა. სწორედ მან მოაგვარა საორგანიზაციო დეტალები და მთავარი ▶



წმინდა მარკოზის ტაძარი, რომელიც ენგელფილდში მდებარეობს, იდეალური ლოკაცია აღმოჩნდა იმ საქორწინო ფიცის დასადებად, რომელიც ნეფემაც და დედოფალმაც ემოციურად, მღელვარებითა და სიყვარულით წარმოთქვეს



## ჯორჯიცა და შარლოტაც სანიმუშოდ იქცეოდნენ და პიპას ბედნიერების შეგრძნებაში თავისებურად ეხმარებოდნენ

სადღეგრძელოც პირველმა წარმოთქვა. მან ახალდაქორწინებულებს ბედნიერი თანაცხოვრება უსურვა.

### ელეგანტური მშობლები

რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში იყვნენ მთავარი გმირების მშობლებიც. ვარაუდობდნენ, რომ კეროლ მიდლტონს „ყველაზე ელეგანტური დედის“ ტიტულს 69 წლის ჯეინი ჩამოართმევდა, თუმცა „ანგარიში გათანაბრდა“, როცა ეკლესიასთან ორივე მათგანი გამოჩნდა. ამ ორი ქალბატონის სილამაზემ და ელეგანტურობამ ყველა სტუმარი გადაჩრდილა. კეროლს CATHERINE WALKER-ის პასტელის ვარდისფერში გადაწყვეტილი კაბა და ამავე ფერის ელეგანტური ფეხსაცმელი ამშვენებდა. გვერდით კი კეიტისა და პიპას უმცროსი ძმა – ჯეიმსი დაჰყვებოდა, რომელიც ყურადღებას არც შეყვარებულს – ბრიტანელ ვარსკვლავ დონა ეარს აკლებდა. ამ უკანასკნელთან მიდლტონების ვაჟს ოთხწლიანი რომანი აკავშირებს. ქორწილში მისმა გამოჩენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ურთიერთობას სერიოზული სახე აქვს და კეიტის ოჯახი ძალიან მალე კიდევ ერთ გახმაურებულ წვეულებას უმასპინძლებს. დონას EMILIA WICKSTEAD-ის დიზაინით შეკერილი კაბა ეცვა და მიდლტონების ოჯახის გარემოცვაში თავს ძალიან შინაურულად და კომფორტულად გრძნობდა. რაც შეეხება ჯეინს, მას თეთრი ელეგანტური კაბა, შლაპა და ფეხსაცმელი ამშვენებდა. უზადოდ გამოიყურებოდნენ ნეფე-პატარძლის მამებიც.

### პიპა

პიპა ეკლესიასთან 1951 წლის „იაგუარით“ მივიდა და 120-ზე მეტი სტუმრის წინაშე თვალწარმტაცი იერით წარდგა. „პიპა, პიპა!“ – ისმოდა გულშემატკივართა აღტაცებული შეძახილები, პატარძალი კი მომხიბვლელად იღიმოდა, ბრწყინავდა და სიხარულს ვერსად მალავდა. გვერდს მამა – მაიკლი უმშვენებდა, რომელმაც საყვარელ ქალიშვილს თაიგული გადასცა და საკურთხევლისკენ ამაყად წარუძღვა. წმინდა მარკოზის ტაძარი, რომელიც ენგელფილდში მდებარეობს, იდეალური ლოკაცია აღმოჩნდა იმ საქორწინო ფიცის დასადებად, რომელიც ნეფემაც და დედოფალმაც ემოციურად, მღელვარებითა და სიყვარულით წარმოთქვეს.

### საპატარძლო კაბა

ბევრი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, პიპას საქორწილო კაბის დიზაინერის ვინაობა ბოლო მომენტამდე უცნობი რჩებოდა. ახლა კი GILES DEACON-ის ►

**როლები შეიცვალა: ექვსი წლის წინ კეიტ მიდლტონის მეჯვარე სწორედ პიპა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჰერცოგინიამ მეჯვარის მოვალეობები პატარა შარლოტას „გადააბარა“, პროცესში მაინც ბოლომდე იყო ჩართული და საყვარელ დას გვერდიდან არ შორდებოდა. ის პატარძალს შლეიფის დაჭერასა და ულამაზესი ფატის გასწორებაში ეხმარებოდა, თვითონ კი თავზე Jane Taylor-ის ელეგანტური შლაპა ჰქონდა მორგებული.**







პატარა ჯორჯმა „ბეჭდების დამტარებლის“ საპატიო მოვალეობას თავი შესაშური ოსტატობით გაართვა. საკუთარი როლი ასეთივე წარმატებით მოირგო შარლოტამაც, რომელიც საყვარელი დეიდის N1 მეჯვარე იყო და საკურთხევლისკენ მიმავალ ბილიკზე ყვავილებს უფენდა.

**კეიტის მთავარი მოვალეობა რვა ბავშვის მეთვალყურეობა და მათი ყოფაქცევის გაკონტროლება იყო**






დიზაინი დიდხანს დარჩება ყურადღების ცენტრში და მსოფლიოს გარშემო უამრავი პატარძლის ინსპირაციად იქცევა. მაქმანებით გაწყობილი და მარგალიტებით ნაქარგი თეთრი კაბა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელი გადაწყვეტილება იყო. რომანტიკულ ელფერს ამძაფრებდა გულის ფორმაზე ამოჭრილი კაბის ზურგი, თმაში ჩაბნეული ნაზი გვირგვინი და გრძელი ფატა, რომელზეც ასევე მარგალიტის თვლები იყო მიმოფანტული. სამკაულებზე პასუხისმგებელი, ისევ და ისევ ROBINSON PELHAMY გახლდათ, რომელმაც პიპას ნიშნობის ბეჭედს იდეალურად შეუხამა ლამაზი და სადა დეტალები. ყველაზე ძვირფასი და სიმბოლური აღმოჩნდა პატარძლის საყურეები, რომლებიც დისგან ითხოვა – კეიტს საკუთარ ქორწილში სწორედ ეს სამკაული ამშვენებდა. რაც შეეხება თაიგულს, იგი LAVENDER GREEN-ის ნახელავი გახლდათ და თეთრი, მწვანე და ვარდისფერი პიონებით, ასტილბებით, ფრეზიებითა და მინდვრის ყვავილებით იყო შეკრული.



კეიტი **Alexander McQueen-ის კაბით იწონებდა თავს და მაქსიმალურად ცდილობდა, მზრუნველი დის როლი სანიმუშოდ მოერგო.**



პიპა ეკლესიამდე
მამამ – მაიკლმა მიაცილა.
მიდლტონებმა სატრანსპორტო
საშუალებად „იაგუარის“ ერთ-
ერთი რეტრომოდელი შეარჩიეს.
პატარძლის GILES DEACON-ის
კაბას ეს მანქანა კიდევ უფრო
დიდ ხიბლს მატებდა

## პატარძლის დედას გვერდით კეიტისა და პიპას უმცროსი ძმა – ჯეიმსი დაჰყვებოდა





ნეფე-დედოფლის მშობლებმა დიდი ყურადღება დაიმსახურეს. კეროლს Catherine Walker-ის პასტელის ვარდისფერში გადაწყვეტილი კაბა და ამავე ფერის ელეგანტური ფეხსაცმელი ამშვენებდა. ჯეინმა კი თეთრი ელეგანტური კაბა, შლაპა და ფეხსაცმელი მოირგო. უზადოდ გამოიყურებოდნენ დღის მთავარი გმირების მამებიც.



### კეიტი

რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში იყო პატარძლის დაც, რომელიც თავს ALEXANDER MCQUEEN-ის კაბით იწონებდა და ყველასგან გამორჩეულად გამოიყურებოდა. ის მაქსიმალურად ცდილობდა, მზრუნველი დის როლი სანიმუშოდ მოერგო და პიპას ყველგან გვერდში ჰყოლოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, პრინცი უილიამი და ჰარიც კი „მიატოვა“, რათა „დღის დედოფალს“ კაბის შლეიფის აწევასა და ფატის გასწორებაში დახმარებოდა; თანაც, ამავდროულად, ბავშვებისთვის სათანადო ყურადღება მიექცია და მათი სწორი „ტრაექტორია“ უზრუნველეყო. პატარებს შორის, რა თქმა უნდა, პრინცი ჯორჯი და პრინცესა შარლოტაც იყვნენ. კეიტი რვა მცირეწლოვნის დაშოშმინებას ცდილობდა და სახეზე მუდმივი ღიმილის შენარჩუნებას შესაშური წარმატებით





**მეფეები, დედოფლები, პრინცები და პრინცესები – პიპას ქორწილი ზღაპრულ წვეულებას ჰგავდა**





მზის ჩასვლის მომენტი ახლოვდებოდა, როცა მისტერ და მისის მეთიუსებმა წმინდა მარკოზის ეკლესია დატოვეს. მათ წინ პრინცი ჯორჯი მიუძღვოდათ, რომელიც პატარძლის გასავლელ გზას ვარდის ფურცლებით ამკობდა



ახერხებდა. შეიძლება ითქვას, რომ პატარძალს საკუთარი და ნამდვილ „მფარველ ანგელოზად“ გამოეცხადა და უამრავი პრობლემა თავდაუზოგავი ძალისხმევით, მზრუნველობითა და განუმეორებელი ღიმილით მოუგვარა.

## ჯეიმსი

როგორც უკვე გითხარით, მამაკაცი, რომელიც პიპას საკურთხეველთან მოუთმენლად ელოდა, ჯეიმს მეთიუსია – უზარმაზარი კომპანიის წარმატებული ფინანსისტი, რომელიც ინგლისსა და შოტლანდიაში მდებარე სასახლეების გარდა, ბევრ სასტუმროსა და საკუთრებას ფლობს. საყვარელ ქალს ხელი ჯერ კიდევ ცხრა თვის წინ სთხოვა. მაშინ პიპა და ჯეიმსი დასასვენებლად უმშვენიერეს ლეიკდისტრიქტს სტუმრობდნენ. როგორც აღმოჩნდა, მომავალ სიძეს მიდლტონებთან ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდა და მხოლოდ მომავალი პატარძლის პასუხს ელოდა. თანხმობის მიღებისთანავე გადაწყდა ჯვრისწერის ადგილიც – წმინდა მარკოზის ეკლესია. მიუხედავად იმისა, რომ ბერკშირის ეს ტაძარი ვესტმინსტერის სააბატოს მასშტაბებს დიდად ჩამოუვარდება, პიპამ და ჯეიმსმა შედარებით ინტიმური და ჰარმონიული ატმოსფეროს შექმნა მოისურვეს და ენგელფილდს მიაშურეს. გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა და იდეალურად წარმართული ჯვრისწერა, რომელიც 45 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა, სტუმრების მიერ ვარდის ფურცლებით მოფენილმა გზამ დააგვირგვინა. ეს გზა, დაპირებისამებრ, ენგელფილდის მამულისკენ წავიდა.

## დანიშნულების ადგილი

სასახლე, რომელმაც ქორწილის სტუმრებს ჯვრისწერის შემდეგ უმასპინძლა, ცნობილი მილიონერის – რიჩარდ ბენიონის ოჯახს ეკუთვნის. საოცარი პეიზაჟებისა და სილამაზის გამო, ეს ადგილი ხშირად ▶





პიპა სილამაზესა და ბედნიერებას ასხივებდა, ეს დაუვიწყარი სანახაობა იყო

ეკლესიიდან გამოსული ახალდაქორწინებულები სიხარულს ვერ მალავდნენ და ყველა სტუმარს სიყვარულსა და ბედნიერებას უზიარებდნენ



პატარძალი ღიმილს არავისთვის იშურებდა და საოცრად იხდენდა GILES DEACON-ის მაქმანებით, ნაქარგებითა და მარგალიტებით გაწყობილ კაბას. პიპას თმაში ROBINSON PELHAM-ის ნაზი გვირგვინი ჰქონდა ჩაბნეული, ყურზე კი ის საყურეები ეკეთა, რომლებიც კეიტმა ექვსი წლის წინ, საკუთარ ქორწილში მოირგო



ყოფილა დიდი მოვლენების ეპიცენტრი. აქ ბევრი ტელესერიალი და ფილ-მია გადაღებული. მათ შორისაა „ოსკაროსანი“ THE KING’S SPEECH-იც. ბოლოდროინდელი შემთხვევებიდან კი აღსანიშნავია NETFLIX-ის დრამა THE CROWN, რომელიც დედოფლის ის-ტორიას გვიამბობს. საქორწილო წვეულება ტრადიციულად წარიმართა – სტუმრებს ჯერ კოქტეილით გაუმასპინძლდნენ, შემდეგ კი – მსუბუქი ლანჩით, რომელზეც პირველი სად-ღეგრძელოები ითქვა და ტორტიც გაიჭრა. და-ნიშნულების ბოლო წერტილი მიდლტონების სამფლობელო იყო, რომელიც კეროლმა და მაიკლმა 2012 წელს შეიძინეს. ლოკაცია საქორ-წილო ვახშმის ეპიცენტრად გადაიქცა და 350-მდე სტუმარს საქორწილო ვალსით, ჯადოსნური ბაღით, საკადრისი მენიუთი და ზღაპრული სა-ღამოთი გაუმასპინძლდა.

## თაფლობისთვე

ახალდაქორწინებულებმა თაფლობის-თვის გატარება ჯეიმსის შოტლანდიურ ▶



პატარა ჯორჯისთვის ქორწილი და დაკისრებული მოვალეობები სულაც არ აღმოჩნდა დამღლელი. ის ყოჩაღად მონაწილეობდა ყველა „სცენაში“ – პიპასთვის არც ყვავილების მიმოფანტვას იზარებდა და არც ბეჭდების ტარებას. შეიძლება ითქვას, რომ დანარჩენ ბავშვებს პრინცი ყოფაქცევის მაგალითს უჩვენებდა.



ახალდაქორწინებულებმა თაფლობისთვის გატარება ჯეიმსის შოტლანდიურ ვილაში გადაწყვიტეს. ეროვნულ ნაკრძალში მდებარე სასახლე ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ლოკაციად მიიჩნევა. მას შემდეგ, რაც მეთიუსები ამ ტერიტორიის მფლობელები გახდნენ, პიპას მამამთილი სახელგანთქმულ მემამულედ მიიჩნევა.

ვილაში გადაწყვიტეს. ეროვნულ ნაკრძალში მდებარე სასახლე ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ლოკაციად მიიჩნევა. 2008 წელს, მას შემდეგ, რაც მეთიუსები ჰაილენდის ამ უზარმაზარი ტერიტორიის მფლობელები გახდნენ, პიპას მომავალი მამამთილი სახელგანთქმულ მემა-მულედ მიიჩნევა. ეს ტიტული კი მემკვიდრეობით სწორედ ჯეიმსს გადაეცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ მალე, კეიტის და, LADY GLEN AFRIC-ის დია-სახლისი გახდება და შესაბამის წოდებასაც მოირგებს.

რამდენიმედღიანი დასვენების შემდეგ, წყვილი თბილი ქვეყნებისკენ გამგზავრებას გეგმავს. ვარაუდობენ, რომ მათი არჩევანი სენტ-ბარტსზე შეჩერდება – აქ მეთიუსები საკურორტო ზონას ფლობენ. სხვა თუ არაფერი, ედენ-როკი სწორედ ის ადგილია, სადაც პიპა მიდლტონსა და ჯეიმს მეთიუსს ერთმანეთი პირველად შეუყვარდათ და სადაც მათი ჯადოსნური ზღაპარი დაიწყო... H

**ტექსტი**: SALLY MORGAN & TRACY SCHAVERIEN
**ფოტო**: GETTY IMAGES




„ძალიან ბედნიერები ჩანდნენ და ეტყობოდათ, რომ ერთმანეთი ძალიან უყვართ. დაუვიწყარი ქორწილი იყო“

„წლის ქორწილად“ შერაცხული ცერემონია იმ ურთიერთობის კულმინაცია იყო, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო და ხუთი წლის განმავლობაში ვითარდებოდა

# -50% – მდე ფასდაკლება

## კოსმეტიკის რჩეულ ფრანგულ ბრენდებზე

VICHY LABORATOIRES · NUXE PARIS · TOPICREM · LABORATOIRES LIERAC PARIS · PHYTO PARIS · DR Docteur Renaud PARIS · EAU THERMALE Avène · LA ROCHE-POSAY LABORATOIRE PHARMACEUTIQUE · Christian BRETON PARIS




ჯიპისი GPC



# მეგაშოუს ფავორიტები
# ცეკვავენ ვარსკვლავები
## დეტალები ყველაზე რეიტინგული პროექტიდან

პარკეტზე დადგომა ადვილია, თუმცა საკუთარი ადგილის შენარჩუნება ბევრს უჭირს. ისინი, ვისაც მაყურებელი და ჟიური ერთნაირად უჭერს მხარს, პროექტის ბოლოსკენ მიიწევენ. პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ნელ-ნელა დაძაბულობა მატულობს. წყვილებშიც სტრესის ფაქტორი იმატებს, ჩვენ კი გაცილებით საინტერესო სანახაობის მომსწრენი ვხდებით. HELLO! ყველაზე რეიტინგული შოუს მონაწილეებს თვალს პერმანენტულად ადევნებს. ამჯერად მონაწილეებს გიჟური შეჯიბრის ყველაზე მნიშვნელოვანი – ქართული ტურის წინ გავესაუბრეთ.

### სანდრა პაიჭაძე და მაქსიმ ლეონოვი

**თქვენ თუ გაგიმართლათ მეწყვილეში?**

სანდრა: საკუთარი საქმის პროფესიონალია. ყოველთვის მაძლევს სტიმულს და ბიძგს, ყველაზე რთულ დღეებშიც კი. სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს, ადგილიდან არ იძვრის. მიხარია, რომ ხასიათებითაც შევეწყვეთ ერთმანეთს. ურთიერთობაში მეც საკმაოდ კომფორტული ადამიანი ვარ. რა თქმა უნდა, არის დაძაბული მომენტები, როდესაც ვიღლებით და ვკინკლაობთ კიდეც, მაგრამ ეს ყველაფერი დარბაზშივე მთავრდება. რთულია, როდესაც ახალი რაღაცების მოკლე დროში სწავლა გიწევს, ის კი ამ ყველაფერს მე ჯერ სიტყვიერად მიხსნის, შემდეგ კი – ვიზუალურად.

**რამდენად დაგეხმარათ პროექტში ფიტნესი?**

სანდრა: ფიტნესს სულ სხვა ფიზიკური მომზადება სჭირდება და ეს ცეკვებისგან რადიკალურად განსხვავებული მიმართულებაა, თუმცა რა თქმა უნდა, ფიზიკურად ყველაფერი ძალიან მეხმარება. ამ მიმართულებით INSTAGRAM-ზე აქტიურად ვმუშაობ და ძალიან მიხარია, ▶



„მაქსიმი საკუთარი საქმის პროფესიონალია. ყოველთვის მაძლევს სტიმულს და ბიძგს, ყველაზე რთულ დღეებშიც კი“

„მიხარია, რომ სანდრა ასეთი შეჯიბრისთვის ფიზიკურად მზად იყო. სხვებს ასე არ გაუმართლათ. მიმაჩნია, რომ ჟიურის წევრები ძალიან კომპეტენტურად გვაფასებენ და თითოეულ დეტალს ამჩნევენ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ SMS-ხმის მიცემა გამართლებაზეა დამოკიდებული“.

# „ჩემ გვერდით ყველასგან გამორჩეული თათია დოლიძეა“



„ყველაზე მეტად იმას ვაფასებ, რომ თათია ძალიან შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. პირველი ტურიდან მოყოლებული, ისეთი პროგრესი განიცადა და ისეთ აზარტში შევიდა, რომ უკან არაფრის წინაშე არ დაიხევს“.

რომ ბევრი მიმდევარი გამომიჩნდა. 2015 წლიდან დილის გადაცემა მიმყავდა. მაშინ დავიწყე ამ თემის პროპაგანდა. ტელევიზიიდან კი ინტერნეტში გადავინაცვლე. მსგავსი გვერდები INSTAGRAM-ზე ძალიან ბევრია, თუმცა ქართულად ფიტნესბლოგს არავინ აკეთებდა. ერთ-ერთი ნოვატორი ვარ და ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ კიდევ უფრო მეტი ადამიანი გადაწყვეტს ფიტნესს გაჰყვეს.

**მაქსიმი:** მიხარია, რომ სანდრა ასეთი შეჯიბრისთვის ფიზიკურად მზად იყო. სხვებს ასე არ გაუმართლათ. მიმაჩნია, რომ ჟიურის წევრები ძალიან კომპეტენტურად გვაფასებენ და თითოეულ დეტალს ამჩნევენ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ SMS-ხმის მიცემა გამართლებაზეა დამოკიდებული. მხოლოდ იმის გაკეთება შეგვიძლია, რომ ყოველ ტურში ბოლომდე დავიხარჯოთ და ჟიურის დავუმტკიცოთ ჩვენი შესაძლებლობები.

**რომელ ტურს ელით ყველაზე მეტად?**
**მაქსიმი:** პირადად მე ქართული ცეკვის ტურს ველოდი ყველაზე მეტად. ეს ჩემთვისაც უდიდესი გამოწვევაა. ვინაიდან აქამდე ქართული ცეკვა არასოდეს შემისრულებია, ამ ტურისთვის მეც ისე ვემზადებოდი, როგორც ყველა დამწყები მოცეკვავე. განსაკუთრებით ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ „სუხიშვილებთან“ ერთად მომიწია მუშაობა. ამ ადამიანებს უდიდეს პატივს ვცემ.

## თათია დოლიძე და ოთო ფოლადაშვილი

**თქვენთვის ალბათ ცეკვებთან ერთად ასეთი მასობრივი ყურადღებაც სიახლეა...**
**თათია:** ჩემს სფეროში მეტ-ნაკლებად ყველა მიცნობდა, თუმცა პოპულარული არასოდეს ვყოფილვარ. საზოგადოებამ მას შემდეგ გამიცნო, რაც ევროკავშირზე ჩემი გამოსვლის ვიდეო მოხვდა ინტერნეტში. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ უფრო მცნობენ და სწორედ ამან განაპირობა, რომ პროექტში მოვხვდი. ეს ყველაფერი ჩემთვის სრულიად ახალი გამოწვევაა. საკუთარ თავს ვაიძულებ, რომ გონებასთან ერთად სხეულსაც მივხედო. სამწუხაროდ არასოდეს მივლია ცეკვაზე და ფიტნესითაც კი არ დავკავებულვარ. აბონემენტიც კი მიყიდია სპორტდარბაზში და შემდეგ, დროის უქონლობის გამო, აღარ მივლია. ამჯერად თავს ვეღარ დავიძვრენ.

**ყოველთვის ძალიან გიმართლებთ მეწყვილეებში. ამჯერად თუ ხარ კმაყოფილი?**
**ოთო:** ნამდვილად იღბლიანი ადამიანი ვარ. 6 სეზონია „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ვიღებ მონაწილეობას და ყოველ ჯერზე ძალიან გამორჩეული მეწყვილეები მყავს. ამ სეზონშიც ჩემ გვერდით ყველასგან გამორჩეული თათია დოლიძეა, რომელმაც ხალხს თავი ევროკავშირში თავისი გამორჩეული გამოსვლით დაამახსოვრა და ამჯერად იგივეს მაყურებლის წინაშე აკეთებს. ყველაზე მეტად იმას ვაფასებ, რომ თათია ძალიან შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. პირველი ტურიდან მოყოლებული, ისეთი პროგრესი განიცადა და ►



იაკობ ყუფუნია: „წინა სეზონი ბევრისთვის იყო რთული, თუმცა თავს ყველა უნდა გაუფრთხილდეს. მოცეკვავისთვის ყველაზე ცუდი რამ ტრავმაა“.

„ფიტნესს სულ სხვა ფიზიკური მომზადება სჭირდება და ეს ცეკვებისგან რადიკალურად განსხვავებული მიმართულებაა“



**„ეს პროექტი უზომოდ დიდ ენერგიას და დროს მოითხოვს. ზუსტად ვიცოდი, რომ დაბრუნების შემთხვევაში ყველა სხვა გეგმა გვერდზე უნდა გადამედო და მთელი დრო პროექტისთვის დამეთმო“ — ნუცა ბუზალაძე**

ისეთ აზარტში შევიდა, რომ უკან არაფრის წინაშე არ დაიხევს.

**თათია:** ხშირად ამბობენ, რომ ჩვენს წყვილში ორი ვარსკვლავი ერთად ცეკვავს. ეს კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. ალბათ ესეც განაპირობებს იმას, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მხარს გვიჭერს.

**ერთმანეთს ხასიათებით როგორ შეეწყვეთ?**
**ოთო:** ჯერჯერობით მასთან მუშაობა ძალიან ადვილია და არცერთი არ დავღლილვართ. ეს სეზონი იმითაც გამოირჩევა, რომ ჯერ არანაირი დაძაბულობა არ იგრძნობა. ყველა მეგობრულია, ყველა ერთმანეთს გულშემატკივრობს და გვერდში უდგას. ალბათ რაც უფრო ნაკლები დავრჩებით, მით მეტად დაიძაბება სიტუაცია, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაფერი კარგადაა.

**თათია, რამ განაპირობა პროექტში თქვენი მონაწილეობა?**
**თათია:** ბევრი ვიფიქრე იმაზე, მიმეღო თუ არა პროექტში მონაწილეობის შემოთავაზება. არ ვიცოდი როგორ მიიღებდნენ ამ ყველაფერს ჩემს სამსახურში, როგორი რეაქცია ექნებოდათ ჩემს სტუდენტებს და ა.შ. ამიტომაც იყო, რომ პასუხი ბოლო წუთებში გავეცი. რამდენიმე ცოცხალი შოუ დამჭირდა იმისთვის, რათა ყველაფერი გამეაზრებინა და ბოლომდე გავხსნილიყავი. საბოლოოდ იმ აზრამდე მივედი, რომ ამ შოუში ჩემი გამოსვლა შეიძლება ბევრი გოგონასთვის სტიმულისმიმცემი იყოს. ვფიქრობ, რომ ჩემ ირგვლივ ყველას კარგი რეაქცია ჰქონდა და საბედნიეროდ





მაქსიმ ლეონოვი: „პირადად მე ქართული ცეკვის ტურს ველოდი ყველაზე მეტად. ეს ჩემთვისაც უდიდესი გამოწვევაა“.

იმაზე გაცილებით უფრო ღია და მიმღები აღმოჩნდა საზოგადოება, ვიდრე მე მეგონა.

## ნუცა ბუზალაძე და იაკობ ყუფუნია

**ნუცა, წინა სეზონზე საკმაოდ ცუდი გამოცდილება მიიღეთ. რატომ გადაწყვიტეთ პროექტში დაბრუნება?**

**ნუცა:** მე-5 სეზონზე მართლა საშინელი სტრესი გადავიტანე. ერთი თვე თაბაშირი მედო და შინ ვიწექი. მაშინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, პროექტში დაბრუნებას ასე მალე თუ გადავწყვეტდი. ამ ყველაფერმა ჩემზე მორალურად და ფიზიკურად ძალიან ცუდად იმოქმედა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს გადაწყვეტილება კვლავ მივიღე ▶



## „საოცარი მეწყვილე მყავს – იმდენს მაბზრიალებს ჰაერში, რომ თავს ბუმბულივით ვგრძნობ“

და ძალიან ბედნიერი ვარ. ეს პროექტი უზომოდ დიდ ენერგიას და დროს მოითხოვს. ზუსტად ვიცოდი, რომ დაბრუნების შემთხვევაში ყველა სხვა გეგმა გვერდზე უნდა გადამედო და მთელი დრო პროექტისთვის დამეთმო. ძალიან დიდი როლი ითამაშა იმან, რომ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა მინდოდა.

**ამჯერად თქვენი მეწყვილე იაკობ ყუფუნიაა. რამდენად გაგიმარტივდათ მასთან მუშაობა?**
**ნუცა:** საოცარი მეწყვილე მყავს. იმდენს მაბზრიალებს ჰაერში, რომ თავს ბუმბულივით ვგრძნობ. ძალიან მოტივირებულია, მუდამ ახალ-ახალი იდეები აქვს. ყველაზე მეტად იმით ვგავართ ერთმანეთს, რომ დაღლილები არასოდეს ვართ. რეპეტიციების დროს ორივე იმდენად გადართულები ვართ საქმეზე, რომ ვერც ტკივილს ვგრძნობთ, ვერც დაღლას, ვერც შიმშილსა და წყურვილს.

**იაკობ, რა გავლენა იქონია ნუცაზე წინა პროექტში მიღებულმა გამოცდილებამ?**
**იაკობი:** წინა სეზონი ბევრისთვის იყო რთული, თუმცა თავს ყველა უნდა გაუფრთხილდეს. მოცეკვავისთვის ყველაზე ცუდი რამ ტრავმაა. ნუცა ძალიან ენერგიული და მონდომებულია, ასე რომ თავის დაზოგვა არ გამოუვა. ორივე ბოლომდე ვიხარჯებით. ძალიან მსიამოვნებს მასთანვარჯიში. ამით უკვე ყველაფერია ნათქვამი. საოცრად ძლიერი, ნიჭიერი და შრომისმოყვარეა. შეუძლია დილიდან საღამომდე ივარჯიშოს. დარწმუნებული ვარ ყველაფერს შეძლებს.

**ყველაზე მეტად რომელ ტურს ელოდებით?**
**იაკობი:** ჩვენი მიზანია ყოველ ტურში ისე ვიცეკვოთ, როგორც ფინალში ვიცეკვებდით. ფინალური ცეკვა ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ კი ვცდილობთ, რომ თითოეული გამოსვლა ფინალურ ცეკვას დავამსგავსოთ და ბოლომდე დავიხარჯოთ. ვიცი, რომ ნუცას „ტანგო“ და „პასადობლე“ ძალიან უყვარს, თუმცა ყველა ნომერში პოულობს რაღაც საკუთარს და თავის თავზე ირგებს. H

---

**ტექსტი**: ნინუცა მაისურაძე
**ფოტო**: იკა პირველი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა**:
LALO (სანდრა, თათია, ნუცა)
SARAR (მაქსიმი, ოთო, იაკობი)
**ფეხსაცმელი და აქსესუარები**: ALDO
**მაკიაჟი**: TAKOKOPADZE MAKEUP
**ვარცხნილობა**: NATALI GROUP
**ლოკაცია**: სასტუმრო „კოპალა რიყე“

„ვიცი, რომ ნუცას „ტანგო“ და „პასადობლე“ ძალიან უყვარს, თუმცა ყველა ნომერში პოულობს რაღაც საკუთარს და თავის თავზე ირგებს“.


#ღრუბელიგემრიელია
ღრუბელიუვნებელია
#ღრუბელივაკე / ი. აბაშიძის 38
#ღრუბელისაბურთალო / მ. კოსტავას 76
#ღრუბელივერა / მ. კოსტავას 23
#ღრუბელითბილისიმოლი
#ღრუბელიგორი / სმარტი
#ღრუბელიფრესკოვაჟაზე
ghrubeli
ghrubeliofficial
ღრუბელი
ორთქლის
ქარხანა

პატარას სახელის ისტორია პირდაპირ უკავშირდება გვანცას დაბადებას. გვანცა რომ დაიბადა, დედამ მას ლილე დაარქვა, თუმცა შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, გოგონას სახელი შეუცვალეს. წლების შემდეგ გვანცამ დედის სურვილი მაინც აასრულა და თავის ქალიშვილს ლილე დაარქვა. ეს სახელი მასაც ყოველთვის მოსწონდა.



„ახლა ვიგრძენი, რა არის ნამდვილი ჰარმონია“

# გვანცა დარასელია

## გოგონას დედა გახდა

**ერეკლე უფროსი ძმის წოდებას იფერებს და დედას პატარას მოვლაშიც კი ეხმარება**





**„ლილე, მამიკოს დაბადების დღეს – 16 თებერვალს დაიბადა. ნამდვილი საჩუქარი გამოვიდა“**

„ლილეს დაბადებამდე მე და ერეკლე განუყრელები ვიყავით. ახლა კი ერეკლე უფრო მეტ დროს მამასთან ატარებს – „მამაკაცური გუნდი“ შექმნეს და ბავშვს ეს ძალიან მოსწონს. იმდენად აღარ არის ჩემზე დამოკიდებული“



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „სხვა შუადღის“ პოპულარულ წამყვანს – გვანცა დარასელიას ცოტა ხნის წინ ქალიშვილი შეეძინა. პატარას პირველი საჯარო გამოჩენაც ქართული HELLO-ს ფურცლებზე შედგება. ჩვენი მკითხველი გაიგებს, თუ როგორ დახვდა გვანცასა და ვახოს უფროსი ვაჟი ერეკლე თავის პატარა დაიკოს და რა შეიცვალა ტელეწამყვანში მეორე შვილის გაჩენის შემდეგ.

**მეორედ გახდით დედა. როგორი შეგრძნებაა?**

**გ.დ.** განსხვავება სამშობიაროშივე ვიგრძენი. ერეკლეზე რომ ვიმშობიარე, ფსიქოლოგიურად ძალიან გამიჭირდა. სამი დღე გამოძინებას დასჭირდა, მზრუნველობის ინსტინქტი მაქსიმალურად გაძლიერებული მქონდა, ახალშობილს ყველაფერს მე ვუკეთებდი, ემოციებისთვის კი დრო არ მრჩებოდა. მეორე ბავშვის შემთხვევაში კი პირიქით – პირველსავე



**იმის თქმა, თუ ვის ჰგავს პატარა ლილე, ჯერ ნაადრევია. მის გარეგნობაში ყველაზე თვალშისაცემი შტრიხი ამ ეტაპზე ლილეს თმაა, რომელიც ძალიან სასაცილოდ აქვს აპრეხილი. სხვათა შორის, გვანცაც ჩვილობაში მსგავსი – „ზღარბი“ ვარცხნილობით გამოირჩეოდა.**

## „დარწმუნებული ვარ, დედის ემოციური მდგომარეობა პატარაზე გადადის, ამიტომ ახლა უფრო მშვიდად ვარ, ვიდრე ერეკლეს დროს ვიყავი“

წუთებიდან საკუთარი თავი იმაში დავიჭირე, რომ პატარას სულ ვეფერებოდი და ვესიყვარულებოდი. უფრო მოდუნებულიც ვიყავი, არაფერზე ვნერვიულობდი. უკვე მზად გახლდით ყველაფრისთვის, რაც მელოდა. დარწმუნებული ვარ, დედის ემოციური მდგომარეობა პატარაზე გადადის, ამიტომ ახლა უფრო მშვიდად ვარ, ვიდრე ერეკლეს დროს ვიყავი.

**დროა პატარაზე უფრო ვრცლად გვიამბოთ.**

**გ.დ.** ლილე, სხვათა შორის მამიკოს დაბადების დღეს – 16 თებერვალს დაიბადა. ნამდვილი საჩუქარი გამოვიდა, რადგან მშობიარობა ფიზიოლოგიური იყო. ლილე 3100 გრ და 50 სმ გაჩნდა. ბავშვი საოცრად მშვიდია, უზომოდ უყვარს ჭამა. ბუნებრივ კვებაზე მყავს და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან წესიერია და კვებებს შორის შუალედებს იცავს, ყოველი წვეთი ერგება და წონაშიც სწრაფად იმატებს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ლილეს შემთხვევაში სულ სხვანაირად აღვიქვი და ვიგრძენი კავშირი დედასა და შვილს შორის, სწორედ რომ ბუნებრივი კვების დროს. ნამდვილად დიდი ბედნიერებაა, როცა იმის საშუალება გაქვს, რომ ბავშვი ბუნებრივად გამოკვებო.

**სახელი „ლილე“ რატომ შეარჩიეთ?**

**გ.დ.** ამას განსაკუთრებული ისტორია აქვს: მე რომ გავჩნდი, დედაჩემმა ლილე დამარქვა. გაგზავნა კიდეც ბარათი ოჯახის წევრებთან, სადაც წერდა, რომ შვილს ლილეს არქმევდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ სახელზე ვერა და ვერ შეთანხმდნენ. მოკლედ, რამდენიმე დღე უსახელო ვიყავი. შემდეგ დედაჩემის სანახავად სამშობიაროში მისი ახლო მეგობარი მივიდა, რომელიც შემდგომში უკვე ჩემი ნათლია გახდა და რომელსაც გვანცა ერქვა. დედამ უცებ გადაწყვიტა, რომ ჩემთვის მისი სახელი დაერქმია. ასე დამარქვეს გვანცა. ძალიან მომწონს ჩემი სახელი, თუმცა მთელი ცხოვრება ამ ისტორიის მცოდნეს არ მასვენებდა ფიქრი, რატომ არ დამარქვეს ლილე?! ყოველთვის მომწონდა ეს სახელი. თანაც ეს დედაჩემის აუსრულებელი ოცნებასავით იყო და ამიტომ წინასწარ ვიცოდი, ▶



„პირველსავე წუთებიდან საკუთარი თავი იმაში დავიჭირე, რომ პატარას მუდამ ვეფერებოდი და ვესიყვარულებოდი. უფრო მოდუნებულიც ვიყავი, არაფერზე ვნერვიულობდი. უკვე მზად გახლდით ყველაფრისთვის, რაც მელოდა“

რომ თუ გოგონა მეყოლებოდა, აუცილებლად ლილეს დავარქმევდი. ასეც მოხდა!

**ვის ჰგავს ლილე?**
**გ.დ.** ასე, გადაჭრით თქმა რთულია. ამბობენ, რომ ტიპაჟურად პატარაობაში მეც ასეთი ვიყავი. რაღაც მომენტებში ერეკლესაც ვამსგავსებ. ჯერ ნაკვთები ბოლომდე ჩამოყალიბებული არ აქვს. ერთადერთი თვალშისაცემი შტრიხი მისი თმაა, რომელიც ძალიან სასაცილოდ აქვს აპრეხილი, ზღარბუნიას ჰგავს. თურმე მეც მსგავსი ვარცხნილობით გამოვირჩეოდი. ერეკლე ჩვილობის ასაკიდან დღემდე ძალიან შეიცვალა. ოთხი თვის რომ გახდა, მუქი თვალები გაუღიავდა და თმა გაუქერავდა. ახლა არის ქერა, ცისფერთვალება ბიჭი. რატომღაც მინდა, რომ ლილე შავგვრემანი დარჩეს და ფერები აღარ შეეცვალოს. ვნახოთ...

**ერეკლემ როგორ მიიღო დაიკო?**
**გ.დ.** ერეკლესა და ლილეს შორის ზუსტად 5 წელია სხვაობა. ორსულობაში ერთადერთი საფიქრალი და სანერვიულო მქონდა სწორედ ის, თუ როგორ გამენაწილებინა ჩემი ემოციები თანაბრად და როგორ განეწყობოდა ერეკლე ლილეს მიმართ. ლილეს დაბადებამდე მე და ერეკლე განუყრელები ვიყავით. 9 თვის მანძილზე თითქმის ყოველდღე ვამზადებდი იმისთვის, რომ ეყოლება დაიკო, ვსაუბრობდით ამის დადებით და უარყოფით მხარეებზე. ვუხსნიდი, რომ დედიკო ხანდახან დაღლილი იქნებოდა, ან ისეთ ყურადღებას ვეღარ მიაქცევდა, როგორიც მას სურდა. ერეკლე მოუთმენლად ელოდა ლილეს დაბადებას, თუმცა სამშობიაროში მის სანახავად რომ მოვიდა, ცოტა არ იყოს იმედგაცრუებული დარჩა. „ეს რა პატარაა, ამას როგორ ვეთამაშო?“ – ასე განაცხადა.

## „ლილეს შემთხვევაში, სულ სხვანაირად აღვიქვი და ვიგრძენი კავშირი დედასა და შვილს შორის, სწორედ რომ ბუნებრივი კვების დროს“

**რამდენად ჩართულია ერეკლე ლილეს მოვლაში?**
**გ.დ.** ძალიან მოსწონს, რამეს რომ ვავალებ. მისთვის მთავარია იგრძნოს საკუთარი როლი ლილეს მოვლაში. მუდამ ეფერება და კოცნის, ძალიან უყვარს. ეჭვიანობის მომენტი არ აქვს. რომ ვაკვირდები, ერეკლე ახლა უფრო მეტ დროს მამასთან ატარებს – „მამაკაცური გუნდი“ შექმნეს და ბავშვს ეს ძალიან მოსწონს. იმდენად აღარ არის ჩემზე დამოკიდებული.

**შესანიშნავად გამოიყურებით! დაგჭირდათ რაიმე სახის დიეტა ან სპეციალური ვარჯიში, რომ წონაში მალევე დაგეკლოთ? თუმცა, როგორც მახსოვს, ორსულობის პერიოდშიც ფანტასტიკურად გამოიყურებოდით (შენიშვნა: იხ. ჟურნალ Hello-ს გასული წლის დეკემბრის ნომერი).**
**გ.დ.** ორივე ბავშვზე ფეხმძიმობისას 18 კილოგრამი მოვიმატე – დასამალი არაფერი მაქვს. უბრალოდ, ამ ორსულობაში საგრძნობლად შემეცვალა სხეულის ფორმები. წონაში ადვილად დავიკელი, არანაირი ვარჯიში და დიეტა არ დამჭირვებია. ეს გენეტიკურია – ზოგადად, არ ვირგებ არცერთ ზედმეტ კილოგრამს. პირიქით – მომატება რომ მინდა, ძალიან მიჭირს. ვიკვებები ჯანსაღად. სხვათა შორის, ლილეს გაჩენის შემდეგ საოცარი მადა მქონდა, მუდამ მშიოდა. ბევრ სითხეს ვიღებდი და გაძლიერებულ კვებაზეც ვიყავი. ახლა უკვე ცოტა დავმშვიდდი, ზომიერად მივირთმევ და თან ცოტას ვფრთხილობ კიდეც, ახალ საკვებს ცოტ-ცოტას ვსინჯავ და ლილეს ვაკვირდები, შემდეგ კი იგივე პროდუქტს უფრო თამამად მივირთმევ. რასაკვირველია, არ ვეკარები ალერგიულ საკვებს, როგორებიცაა ნიგოზი და თაფლი.

**რამდენიმე თვე დეკრეტულ შვებულებაში იყავით. სამსახურში დაბრუნება გაგიჭირდათ?**
**გ.დ.** სიმართლე გითხრათ, არ გამჭირვებია. სამსახურთან ახლოს ვცხოვრობ, თან ლილეს კვების რეჟიმი ხელს მიწყობს. ამას ისიც ემატება, რომ არაჩვეულებრივი გუნდი მყავს, რომელიც ყველანაირად ხელს მიწყობს და შინ ლილეს გამოსაკვებად მორბენა პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს. ტელევიზიაში მუშაობას თავისებური სპეციფიკა აქვს: აქ მალევე უნდა დაუბრუნდე მაყურებელს, თორემ ადვილად დაავიწყდები. ამიტომ მეც ვეცადე მაქსიმალურად სწრაფად დავბრუნებოდი სამუშაო რეჟიმს. მომენატრა ჩემი სამუშაო სივრცე და ერთგული მაყურებელი. H

---

**ტექსტი**: ლულუ კახიანი
**ფოტო**: იკა პირველი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა**: GVANTSA JANASHIA, IKKS JUNIOR
**ბავშვის ეტლი**: MIMAXARI
**ლოკაცია**: AMBASSADORI TBILISI



„ტელევიზიაში მუშაობას თავისებური სპეციფიკა აქვს: აქ მალევე უნდა დაუბრუნდე მაყურებელს, თორემ ადვილად დაავიწყდები. ამიტომ მეც ვეცადე მაქსიმალურად სწრაფად დავბრუნებოდი სამუშაო რეჟიმს“

# BEST FASHION MOMENTS
# CANNES 2017



## დაუცენ კრუსი

კანის კინოფესტივალზე Victoria`s Secret-ის „ანგელოზების“ სტუმრობა ერთგვარი ტრადიციაა. დაუცენ კრუსი, მისი თაობის სხვა სუპერმოდელებთან ერთად, წელსაც ამშვენებდა ფრანგულ „წითელ ხალიჩას“. BALMAIN-ის მეტალიკის აქცენტებით შექმნილი მთლიანად მბზინვარე კაბა ბისერებითა და შლეიფით, ჰოლანდიელმა მოდელმა სადა და კლასიკურ ვარცხნილობას შეუხამა.



## ელ ფენინგი

წლევანდელი „წითელი ხალიჩა“ ახალგაზრდა თაობის მსახიობების საკმაოდ საინტერესო LOOK-ებით იყო გამორჩეული. 19 წლის ელ ფენინგის ჩაცმულობაზე RODARTE-მ იზრუნა. ღია იასამნისფერი კაბა კორსეტითა და შიფონის გაშვებული შლეიფით, კლასიკურთან და დახვეწილთან ერთად, ფენინგის ასაკისა და რეპუტაციისთვისაც სრულიად შესაბამისი იყო – ზომიერად მოკრძალებული და მინიმალისტური.



## ემილი რატაკოვსკი

**25 წლის მოდელი და მსახიობი „წითელ ხალიჩაზე“ PETER DUNDAS-ის შავი მაქმანებიანი კომბინეზონით გამოჩნდა. საკმაოდ თამამ და ფაქტობრივად გამჭვირვალე სამოსს შავი გრძელი შლეიფით, ემილიმ მინიმალისტური შავი სანდლები შეუხამა. მოდელმა ტრადიციულად უარი თქვა მკვეთრ მაკიაჟსა და თვალშისაცემ სადღესასწაულო ვარცხნილობაზე – რატაკოვსკიმ თმის სადად და ბუნებრივად შეკვრა არჩია.**



ყოველი წლის მაისში ევროპელი და ჰოლივუდელი ვარსკვლავები ფრანგულ რივიერაზე იყრიან თავს. კინოს ყველაზე გავლენიანი და მასშტაბური ევროპული ფესტივალი, ცხადია ფილმების გარდა, მნიშვნელოვანია დამსწრე საზოგადოების ჩაცმულობის გამოც. „ოსკარისგან“ განსხვავებით, კანის კინოფესტივალზე კონკრეტული პროტოკოლი და დრესკოდი არასოდეს არსებობს, ვარსკვლავები კი ყოველთვის უფრო თამამები, ბუნებრივები და ავანგარდულები არიან, ვიდრე ჰოლივუდურ „წითელ ხალიჩაზე“. ►

## ბელა ჰადიდი

**როგორც ჩანს, MET GALA-ს „წითელი ხალიჩისა“ და საკმაოდ თამამი, თითქმის გამჭვირვალე კომბინეზონის შემდეგ, ბელა ჰადიდმა ამჯერად ისეთი სამოსის ტარება არჩია, რომელიც ნაკლებად გაუსვამდა ხაზს მის სექსუალურობას. DIOR-ის წითელი კაბა მოდელმა BVLGARI-ს ძვირფასი სამკაულების ანსამბლს შეუხამა.**





## მარიონ კოტიარი

ფრანგმა მსახიობმა და DIOR-ის მრავალი წლის სახემ წელს „წითელ ხალიჩაზე“ ARMANI PRIVE-ის ქმნილების ტარება არჩია. საკმაოდ თამამ კაბასთან გრაფიკული დეკოლტეთი და ჩახსნილი გვერდით, მარიონმა ALEXANDER WANG-ის ქუსლიანი სანდლები და ცხადია, CHOPARD-ის სამკაულები მოირგო.



## ირინა შეიკი

მას შემდეგ, რაც რუს სუპერმოდელსა და ბრედლი კუპერს პირველი ქალიშვილი შეეძინათ, შეიკი პირველად გამოჩნდა „წითელ ხალიჩაზე“. ამ მნიშვნელოვანი დღისთვის კი, BALMAIN-ის ტყავის დეტალებითა და TRIBAL ელემენტებით შექმნილი შავი NAKED კაბა შეარჩია. წელში გამოყვანილი სილუეტის გამო, სამოსმა იდეალურად გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ირინა მშობიარობის შემდეგ იდეალურად გამოიყურება.

## ადრიანა ლიმა

სუპერმოდელებს „წითელი ხალიჩისთვის“ მომზადება ყოველთვის კარგად გამოსდით. ადრიანა ლიმამ კანის წლევანდელი ფესტივალისთვის საკმაოდ კლასიკური, თუმცა პროგნოზირებადი გარდერობი შეარჩია – ბრაზილიელმა მოდელმა არჩევანი ამჯერად NAEEM KHAN-ის კაბასა და CHOPARD-ის საკმაოდ მასიურ კოლიეზე შეაჩერა.



## რიანა

თეთრი კაბა და თეთრივე მოსაცმელი მზის სათვალესთან ერთად – DIOR-ის სამოსში გამოწყობილმა რიანამ წლევანდელი ფესტივალის ყველაზე ავანგარდული LOOK-ი შექმნა. მომღერალმა ცხადია არც STATEMENT სამკაულებზე თქვა უარი – CHOPARD-ის საკმაოდ მასიური სამაჯური 29 წლის ვარსკვლავმა თავის ცნობილ ტატუს შეუხამა.



## ნაომი კემპბელი

სუპერმოდელის კაბა შექმნილი გახლდათ ვინტაჟური ჰოლივუდის სტილში – ბისერებითა და ბოლოში ბუმბულებით. ნაომის ჩაცმულობაზე ამჯერადაც ტრადიციულად მისმა ახლო მეგობარმა – დონატელა ვერსაჩემ იზრუნა. ATELIER VERSACE-ს კაბასთან ნაომიმ საკმაოდ მასიური ყელსაბამი მოირგო.

## ნიკოლ კიდმანი

წლევანდელ ფესტივალზე ნიკოლმა ორი რადიკალურად განსხვავებული, თუმცა საოცრად ელეგანტური LOOK-ით დაგვამახსოვრა თავი. ARMANI PRIVE-ის ეთნოდეტალებითა და ორნამენტებით შექმნილი ბოჰემური სტილის სარაფანთან ერთად, მსახიობმა Calvin Klein-ის შავ-თეთრი კაბაც მოირგო.

**ტექსტი**: თათია ლაშაური. **ფოტო**: GETTY IMAGES.



# მთავარი აქცენტები & გამარჯვებულები
## HELLO!-ს ობიექტივში

კინოინდუსტრიაში ფესტივალებს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ასეც უნდა იყოს – იმიტომ, რომ სწორედ კინოფესტივალები აწესებენ იმ მაღალ და ახალ სტანდარტებს, რომლებსაც წარმატების მსურველები უნდა მოერგონ. ამ მხრივ კანი ყველაზე გამორჩეულია და ყოველი წლის მაისში მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ექცევა. „ფსონები“ წელსაც მაღალი იყო, „წითელი ხალიჩა“ – ბრწყინვალე, შედეგები კი – სამართლიანი.

17-დან 28 მაისის ჩათვლით კანის ქუჩები ისევ გაივსო ჟურნალისტებით, ტურისტებითა და გულშემატკივრებით, რომლებიც საყვარელი მსახიობებისა თუ რეჟისორების გამოჩენას სულმოუთქმელად ელოდნენ. იმედი არც გაცრუებიათ – წელს ნამდვილი ვარსკვლავცვენა იყო!

დავიწყოთ იმით, რომ ჟიურის პრეზიდენტის მოვალეობებს პერდრო ალმადოვარი ასრულებდა, რაც ფესტივალის მიმართ მოლოდინს ერთიორად ზრდიდა. მასთან ერთად, ფილმებს აფასებდნენ ჯესიკა ჩესტეინი, პაოლო სორენტინო, უმა თურმანი, უილ სმიტი და ▶



The Meyerowitz Stories-ის შემოქმედებითი ჯგუფი: დასტინ ჰოფმანი, რეჟისორი ნოა ბაუმბახი, ემა თომპსონი, ბენ სტილერი და ადამ სენდლერი.





წელს ჟიურის პრეზიდენტი პერდო ალმადოვარი გახლდათ, რომელიც ფილმებს ჯესიკა ჩესტეინთან, პაოლო სორენტინოსთან, უმა თურმანთან, უილ სმიტსა და ჟიურის სხვა კომპეტენტურ წევრებთან ერთად აფასებდა (ზევით და ქვევით მარჯვნივ). საუკეთესო რეჟისორად სოფია კოპოლა დაასახელეს (მარჯვნივ), საიუბილეო ჯილდო კი მისი ფილმის მთავარ მსახიობს – ნიკოლ კიდმანს გადაეცა (მარჯვნივ, შემოქმედებით ჯგუფთან ერთად). დადებითი შეფასებები დაიმსახურა ჯულიეტ ბინოშმაც, რომელმაც **Bright Sunshine In**-ის მთავარი გმირი განასახიერა (ქვევით მარცხნივ).











**დაიან კრუგერი საუკეთესო მსახიობ ქალად დაასახელეს. ის გერმანელი რეჟისორის – ფატიჰ აკინის IN THE FADE-ში მონაწილეობს და ტრაგიკული ისტორიის მთავარ მსხვერპლს განასახიერებს**



**რიგით 70-ე საიუბილეო ღონისძიება მონიკა ბელუჩის მიჰყავდა (ზევით). „ოქროს პალმის რტოთი“ დაჯილდოვდა The Square, რომელიც შვედი რეჟისორის – რუბენ ესტლუნდის გადაღებულია (ქვევით).**



ჟიურის სხვა კომპეტენტური წევრები. ამას ემატებოდა ისიც, რომ გახსნისა და დახურვის ცერემონიები თავად მონიკა ბელუჩის მიჰყავდა!

ღონისძიება არნო დეპლეშენის ნამუშევრით ISMAEL'S GHOSTS გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსებმა ეს არჩევანი დაიწუნეს, მარიონ კოტიარის თამაშმა მაინც ყველაფერი გადაწონა. კინოფესტივალის მთავარი თემები ლტოლვილები, რუსეთი და საშუალო კლასის ცხოვრება აღმოჩნდა. მიხაელ ჰანეკეს HAPPY END-მა ბურჟუაზიულ ოჯახსა და გაჭირვებულ დევნილებზე გვიამბო, ალეხანდრო გონსალეს ინიარიტუს CARNE Y ARENA-მ კი ამერიკისა და მექსიკის საზღვარზე განვითარებულ სახიფათო მოვლენებში გვამოგზაურა. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ანდრეი ზვიაგინცევის ნამუშევარმა LOVELESS, რომელიც დღევანდელი რუსეთის მანკიერ მხარეებს ყველაზე ოსტატურად ასახავდა. ანალოგიურ მიზანს ემსახურებოდა სერგეი ლოზნიცას A GENTLE CREATURE-იც. ასევე გამოირჩეოდა ნოა ბაუმბახის THE MEYEROWITZ STORIES, რუბენ ესტლუნდის THE SQUARE, ფრანსუა ოზონის ეროტიკული თრილერი L'AMANT DOUBLE, OKJA და GOOD TIME, რომელშიც მთავარ როლს რობერტ პატინსონი ასრულებდა. „ოქროს პალმის რტოს“ მოსაპოვებლად იბრძოდა მერაბ ნინიძეც, რომელიც კორნელი მუნდრუცუს JUPITER'S MOON-ში მთავარ გმირს განასახიერებდა.

საბოლოოდ, ჯილდოები ასე გადანაწილდა: „ოქროს კამერა“ ლეონორ სერელის JEUNE FEMME-ს გადაეცა; ჟიურის სპეციალური პრიზი ტეპო აირაკსინენის მოკლემეტრაჟიან ნამუშევარს – THE CEILING ერგო; მოკლემეტრაჟიანი ფილმების კატეგორიაში „ოქროს პალმის რტო“ A GENTLE NIGHT-მა მიიღო; საუკეთესო სცენარის ჯილდო ორად გაიყო და THE KILLING OF A SACRED DEER-ისა და YOU WERE NEVER REALLY HERE-ის რეჟისორებს გადაეცათ; ჟიურის პრიზი ერგო ზვიაგინცევის LOVELESS-ს; საუკეთესო ქალ მსახიობად დაიან კრუგერი დაასახელეს, საუკეთესო მსახიობ მამაკაცად კი – ხოაკინ ფენიქსი; საუკეთესო რეჟისორად სოფია კოპოლა აღიარეს; კანის კინოფესტივალის გრანპრი რობენ კამპიოს 120 BPM (BEATS PER MINUTE)-ს გადასცეს; ღონისძიების საიუბილეო ჯილდო ნიკოლ კიდმანს ერგო; „ოქროს პალმის რტო“ კი რუბენ ესტლუნდის THE SQUARE-მა დაიმსახურა.

დაბოლოს: კანის კინოფესტივალმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შეუდარებელია და ყოველთვის მზად არის, კარი გაუღოს რეჟისორებს, რომლებსაც თავიანთი ნამუშევრებით მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლა სურთ.

**ტექსტი**:
ელენე მარგალიტაშვილი
**ფოტო**:
GETTY IMAGES


SHOPPING-ი IKKS JUNIOR-ში
& საჩუქრად მიიღე სკუტერი
IKKS
SKATING BIKE
IKKS JUNIOR
ი. ჭავჭავაძის გამზ. 48
995 (032) 229 13 11
IKKS Tbilisi



# „ქართველი“ მომღერალი ღვინო



**გიორგი კვირიკაშვილი**
**საქართველოს პრემიერ-მინისტრი**

„მოხარული ვარ, რომ „ქართული ხმები“ ერთ-ერთი პირველი ჯგუფია, რომელმაც ევროპაში უვიზო მიმოსვლა ჩვენთან ერთად იზეიმა და ამ ზეიმის შემდეგ, ძალიან მალე, ეს სასიამოვნო სიახლე გვახარა. დარწმუნებული ვარ ახალი ბრენდი თავის სახელს გაამართლებს და ძალიან წარმატებული ბიზნესი გახდება“.

„მომღერალი ღვინო“ კომპანია „ქართველის“ ინოვაციური და ეროვნული ღირებულებების მატარებელი პროექტია, რომელიც ქართულ ბაზარზე სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. ახალი ბრენდის შექმნის ინსპირაცია ანსამბლი „ქართული ხმები“ გახდა. სწორედ აქედან გაჩნდა ორი ქართული საგანძურის – ღვინისა და სიმღერის გაერთიანების იდეაც. ღვინის თითოეულ ბოთლზე დატანილია QR კოდი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია კომპანიის YOUTUBE-არხზე გადასვლა, სადაც ქართული კულტურისა და ტრადიციების ამსახველი ვიდეორგოლებია განთავსებული. გარდა ამისა, კომპანია „ქართველის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მივიწყებული საღვინე ვაზის ჯიშების მოძიება და გაცოცხლებაა, რაც ქართული მეღვინეობის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. ინოვაციური პროდუქტის პრეზენტაციას, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან ერთად, სამთავრობო და ბიზნესსექტორის არაერთი წარმომადგენელი დაესწრო. საღამოს მუსიკალურად დიჯეი A2K აფორმებდა.

ტექსტი: ნინუცა მაისურაძე. ფოტო: ანა კოსტომაროვა.







## ვიქტორ დოლიძე - სახელმწიფო მინისტრი საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში



„ამ ორივე სფეროში ნებისმიერი ინოვაცია ძალიან სასარგებლოა. ყველაფერი, რაც ეროვნულ ღირებულებას ეფუძნება და კრეატიულადაა შექმნილი, ძალზე მისასალმებელია. ვფიქრობ ეს ევროპული იდეა არა მარტო ქვეყნის საზღვრებს შიგნით, არამედ მის გარეთაც გაამართლებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენი მივიწყებული საღვინე ვაზის ჯიში არსებობს. ამ საკითხის წინ წამოწევა კიდევ ერთხელ მიუთითებს პროექტის მაღალ ღირებულებაზე".

## გიორგი პერტაია

KEYSTONE INVESTMENTS LTD დირექტორი



„ყველამ ვიცით, რომ თუ ქართული ხელოვნების ექსპორტი არსებობს, ეს უპირველესად ქართული სიმღერაა. ჩემს გარემოცვაში უკვე დიდი ხანია ფიქრობენ, როგორაა შესაძლებელი ამ ყველაფრის კაპიტალიზაცია და ბიზნესზე პირდაპირ მიბმა. ერთია მოფიქრება და მეორე განხორციელება – თან ისე, რომ მომხმარებელი რეალურად დაინტერესდეს. ვფიქრობ „მომღერალი ღვინო" ძალიან კარგად მოფიქრებული და ხორცშესხმული ბიზნესიდეაა, რომელსაც წარმატებული მომავალი ელის".

## კომპანია „ქართველის" ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მივიწყებული საღვინე ვაზის ჯიშების მოძიება და გაცოცხლება





# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა



**მამუკა გორგოძემ** საქართველოს რაგბის ნაკრები დატოვა. კაპიტნის გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია საქართველოს რაგბის კავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც სპორტსმენი წერს: „უკვე 33 წლის ვარ და 2019 წლის მსოფლიო თასის დროს 35-ს ვიქნები გადაცილებული. მინდა, რომ გულშემატკივარს თავი კარგად დავამახსოვრო და ვგრძნობ, წასვლის დრო მოვიდა“. გორგოძის თქმით, იგი წასვლას ჯერ კიდევ 2015 წელს გეგმავდა, თუმცა თხოვნა გაითვალისწინა და დარჩა, ამჯერად კი მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.



**გიორგი კვირიკაშვილი** დონალდ ტრამპსა და მაიკ პენსს შეხვდა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, აშშ-ის პრეზიდენტმა საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა, ვიცე-პრეზიდენტმა კი აქცენტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებაზე გაამახვილა. „ეს ძალიან პოზიტიური შეხვედრა იყო, სადაც ყველა მიმართულებაზე ვისაუბრეთ – თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე, კულტურულ ურთიერთობებზე, დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარებაზე...
ეს ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაა“, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.



**მერაბ ნინიძე** BBC-ის ახალ სერიალში მთავარ როლს შეასრულებს. McMafia, რომელიც BBC-ის, AMC-ისა და Cuba Pictures-ის ერთობლივი ნამუშევარი იქნება, ეკრანებზე 2017 წლის ბოლოს გამოჩნდება. სიუჟეტი გლობალური მაფიის ისტორიას შეეხება და რუსულ მაფიოზურ ოჯახში გაზრდილ გმირზე მოგვითხრობს. ქართველი მსახიობი ოთხი მთავარი პერსონაჟიდან ერთ-ერთს განასახიერებს. სცენარი მიშა გლენის ბესტსელერის მიხედვით, ჰუსეინ ამინმა და ჯეიმს უოტკინმა დაწერეს. გადაღებები უკვე დაწყებულია და ლონდონში, ყატარსა და ხორვატიაში მიმდინარეობს.



**ზურაბ დათუნაშვილი** ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. მოჭიდავემ სერბეთში გამართულ ჩემპიონატში გაიმარჯვა და ფინალისტი მეტოქე – რაძიკ კულიევი, ანგარიშით 4:2 დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ დათუნაშვილმა ევროპის ჩემპიონატი უკვე მეორედ მოიგო. წინა წელს მან 75 კილოგრამიანთა შორის გაიმარჯვა, წელს კი 80 კილოგრამიანთა კატეგორიაში იბრძოლა. რაც შეეხება ბრინჯაოს, პრიზიორები აქაც ქართველი მოჭიდავეები – გოგა გოგიბერაშვილი და ლევან არაბული გახდნენ.






**ზურაბ პოლოლიკაშვილი** ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივანი გახდა. იგი ამ თანამდებობაზე 2021 წლამდე დარჩება. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საქართველოს კანდიდატი ასეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელ პოზიციაზე პირველად დანიშნეს. პოლოლიკაშვილი 2006 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, შემდეგ ესპანეთის სამეფოში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახდა, 2009 წლიდან დღემდე კი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პოზიციას იკავებდა.



**ნინო ანანიაშვილი** იაპონიის იმპერატორის პრიზით დაჯილდოვდა. ქართველ პრიმაბალერინას „ამომავალი მზისა და ოქროს სხივების“ ორდენი იაპონიასა და საქართველოს შორის კულტურულ ურთიერთობებში ხანგრძლივი მონაწილეობისა და იაპონური საბალეტო საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიენიჭა. ეს კულტურის სფეროში მიღვაწეთათვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რანგის პრიზია და 1875 წლიდან გაიცემა. ანანიაშვილს ოფიციალურად ექვსი თვის შემდეგ დააჯილდოვებენ.

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი



# საქართველოს 51 მედალოსანი ჰყავს

საქართველოს მკლავჭიდის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე 51 მედალი მოიპოვა. მათ შორის 19 ოქროს, 17 ვერცხლის, და 15 ბრინჯაოს მედალია. ამასთანავე, ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდური მეორე პოზიციაც დაიკავა. საქართველო ევროპის რიგით 27-ე ჩემპიონატზე სამ ასაკობრივ კატეგორიაში ასპარეზობდა. ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჯამში 25 მედალი მოიპოვა, საიდანაც 9 ოქროსი იყო; მოზრდილების კატეგორიამ კი – 26 მედალი, და მათ შორის 10 ოქრო. მძიმე წონით კატეგორიაში (110+) ლევან საგინაშვილმა ოქროს ორი მედალი მიიღო. რაც შეეხება ვეტერანთა კატეგორიას, აქ საქართველოს მკლავჭიდის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ჯამბულ ვიბლიანმა გაიმარჯვა და ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ევროპის ჩემპიონატი პოლონეთის ქალაქ კატოვიცაში 14-დან 21 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა.



**დონალდ ტრამპი** მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ საკითხს აშშ-ის „ბიუჯეტის კანონში“ პირველად შეეხნენ. „საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია“ რუსეთის აგრესიის ქვეთავში მოექცა და აღინიშნა, რომ ამერიკა არ დააფინანსებს არავის, ვინც რუსეთის მიერ ოკუპირებული მხარეების დამოუკიდებლობას მხარს დაუჭერს ან მათთან დიპლომატიურ ურთიერთობას წამოიწყებს. არ დაფინანსდება ის პროგრამებიც, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტს დაარღვევს.



**ნანა ძაგნიძე** ევროპის ჩემპიონი გახდა. ქართველმა მოჭადრაკემ 8.5 ქულა დააგროვა და ევროპისა თუ მსოფლიოს ექსჩემპიონები ჩამოიტოვა. რიგაში გამართულ რიგით მე-18 ინდივიდუალურ შეჯიბრში, რომლის საპრიზო ფონდი 70 000 ევროს შეადგენდა, პირველობისთვის 33 ქვეყნის 144-მა მოჭადრაკემ იბრძოლა. მათ შორის 9 ქართველი იყო. აღსანიშნავია, რომ მე-10 ადგილი თელაველმა ბელა ხოტევანიშვილმა დაიკავა, რითაც იმ 14 მოჭადრაკეს შორის მოხვდა, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვეს.



**სალვადორ სობრალი** ევროვიზიის რი-გით 62-ე კონკურსის გამარჯვებული გახდა. პორტუგალიელმა მომღერალმა დამსახურებული პრიზი კიევში გამართული ფინალური კონცერტის შემდეგ მიიღო. საქართველოს წარმომადგენელი თაკო გაჩეჩილაძე გახლდათ, რომელმაც სიმღერა Keep The Faith ღირსეულად შეასრულა, თუმცა ფინალში გასასვლელად საჭირო ხმათა რაოდენობა ვერ დააგროვა. სალვადორი პირველია, რომელმაც 53-წლიანი პაუზის შემდეგ, პორტუგალიას გამარჯვება მოუტანა..



**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** ევროპის ჩემპიონი გახდა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე, 61 კგ-მდე წონით კატეგორიაში, მან რუს მეტოქეს – ახმედ ჩაკაევს სძლია და დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წამებში მოუგო. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი თავისუფალ ჭიდაობაში ოქროს მედლის მფლობელი და ევროპის ჩემპიონი უკვე მესამედ გახდა. შეგახსენებთ, რომ 2015 წელს ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.



წამყვანების სიტყვებით, ისინი მშვენივრად შეეწყვნენ ერთმანეთს და ე.წ. „შიდა კონკურენცია“ მათ შორის არ არსებობს. პირიქით – ერთმანეთის წარმოჩენას ცდილობენ.

## ახალი თოქ-შოუ „იმედზე“

# PRIME SHOW

### ანრი ჯოხაძე, ნინო ნადირაძე-კუზანოვა, ნოე სულაბერიძე, სალომე ღვინიაშვილი, ირაკლი მაქაცარია და ნინი ბადურაშვილი წამყვანთა ამკლუაში



**PRIME SHOW-ს საქართველოს ტელესივრცეში არსებული სხვა შოუებისგან განასხვავებს ის ექვსი წამყვანი, რომლებიც პროფესიით არა ჟურნალისტები, არამედ ამა თუ იმ სფეროს ცნობილი წარმომადგენლები არიან**



**„სტარტი ძალიან კარგი იყო და იმედი მაქვს, გადაცემა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო სანახავი გახდება. თუმცა მაყურებელთა რაოდენობას არც ახლა ვუჩივით“ – ნინი ბადურაშვილი**

„მწვავე დებატები, შეკითხვები და პასუხები ასპექტებზე, რომლებიც ამბების მიღმა რჩება“ – სწორედ ეს გახლავთ ახალი ტელეგადაცემა PRIME SHOW-ს სლოგანი. ახალი პროექტი ყოველ შაბათ საღამოს, „იმედის“ ეთერში მაყურებელს სთავაზობს დისკუსიას სხვადასხვა სოციალურ თემაზე. ქართული HELLO! არაჩვეულებრივ ფოტოსესიასთან ერთად წარმოგიდგენთ PRIME SHOW-ს წამყვანებს. რამდენად მოირგეს „ჟურნალისტური“ ამპლუა ნინიმ, ანრიმ, ნოემ, ნინომ, სალომემ და ირაკლიმ? როგორია მათთვის სამუშაო პროცესი, და რა ხდება PRIME SHOW-ს სამზარეულოში? – ამას სტატიიდან შეიტყობთ.

## ნოე სულაბერიძე

„თვეზე მეტია, რაც გადაცემა ეთერში გადის და უკვე შემიძლია იმის თქმა, რომ მოლოდინმა გაამართლა. PRIME SHOW-ს ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, სამომავლოდ ძალიან დიდი რესურსი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვაქვს მაღალი რეიტინგი, ეს მხოლოდ დასაწყისია. გადაცემას კიდევ სჭირდება ერთგვარი ადაპტაციის პერიოდი და ფეხზე დადგომა, რათა მაყურებელს გაუჩნდეს სტაბილურობის შეგრძნება. მიმაჩნია, რომ ამ მცირე დროში იმაზე მეტი მოვახერხეთ, ვიდრე მოლოდინი გვქონდა. წამყვანების შერჩევის პრინციპი მათი ინდივიდუალურობითა და დამაჯერებლობით განისაზღვრა. ყველა წამყვანი ჩვენი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, მათი აზრი ბევრს აინტერესებს და შესაბამისად, გადაცემაში მაყურებელს სწორედ ეს იზიდავს.

თავდაპირველად, PRIME SHOW-ს წამყვანად არ მოვიაზრებოდი. საპილოტე გადაცემის ჩაწერის დროს დავუჯექი წამყვანებს, რომ თავი უფრო თავისუფლად და კომფორტულად ეგრძნოთ. მინდოდა ზუსტად მეჩვენებინა, რას მოვითხოვდი მათგან, ამიტომ დიალოგშიც ჩავერთე. შემდეგ უკვე გაჩნდა იდეა, რომ მეც წამყვანი გავმხდარიყავი და ვიფიქრე – რატომაც არა?!“

## ნინი ბადურაშვილი

„სიმართლე გითხრათ, თავიდან ძალიან ვღელავდი. ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა აუდიტორიის წინაშე წარდგე, როგორც წამყვანი. აქედან გამომდინარე, ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან სარისკო იყო. მაინც დავთანხმდი, რადგან შინაგანად ვგრძნობდი – გამომივიდოდა. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ექვსივე წამყვანი ძალიან კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს, ე.წ. შიდა კონკურენცია ნამდვილად არ გვაქვს. პირიქით – ერთმანეთის წარმოჩენას ვცდილობთ.

ყოველი გადაცემისთვის სერიოზულად ვემზადებით. გვეგზავნება სტატისტიკა, უამრავი მასალა ამა თუ იმ საკითხზე. თავს უფლებასაც კი ვერ მივცემ, რომ ჩაწერაზე მოუმზადებელი მივიდე. ზოგადად, ჩემი თვისებაა, რომ როდესაც რამეს ვაკეთებ, მაქსიმალურად ვიხარჯები. საკმაოდ თვითკრიტიკული ვარ – არ აქვს მნიშვნელობა, სცენაზე ვდგავარ თუ გადაცემა მიმყავს. ჩანაწერს რამდენჯერმე ვუყურებ, რომ ჩემი თავი ობიექტურად შევაფასო.

სტარტი ძალიან კარგი იყო და იმედი მაქვს, გადაცემა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და სანახავად საინტერესო გახდება, თუმცა მაყურებელთა რაოდენობას არც ახლა ვუჩივით. მართალია გვაკრიტიკებენ, თუმცა კრიტიკის გარეშე შეუძლებელია. კრიტიკა ნიშნავს, რომ გვიყურებენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“.

## ნინო ნადირაძე-კუზანოვა

„წამყვანის ამპლუა ჩემთვის უცხო არ არის. ადრე საკუთარი საავტორო სამედიცინო გადაცემა მქონდა. PRIME SHOW რადიკალურად განსხვავდება ჩემი წინა გამოცდილებისგან. ექვსი წამყვანი, ძალიან დიდი კოლექტივი, უამრავი სტუმარი და რესპონდენტი. გადაცემის თემებიც განსხვავდება ჩემი პროფესიული ინტერესებისგან. ეს გადაცემა გართობის ელემენტსაც შეიცავს, მე კი ზოგადად დიდი შინაგანი პენსიონერობა მამძიმებს. მძიმე ტიპი ვარ – ალბათ ისევ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე.

მაქსიმალურად ვცდილობ მოვერგო ფორმატს და დარწმუნებული ვარ, საბოლოო ჯამში ჩვენ ერთიან ორგანიზმად ჩამოვყალიბდებით. ჯერჯერობით კარგი შედეგები გვაქვს, თუმცა ბუნებით პერფექციონისტი გახლავართ. არასოდეს ვარ კმაყოფილი შედეგით, გამოვირჩევი ზედმეტი თვითკრიტიკულობით, რის გამოც შენიშვნებსაც მაძლევენ.

ყველაზე რთული ალბათ როლებისა და დროის გადანაწილებაა. მცირე დროში ექვსივე წამყვანმა უნდა მოვახერხოთ საკუთარი აზრის დაფიქსირება, რესპონდენტის აზრის მოსმენა, აზრის დასრულება უნდა ვაცალოთ ერთმანეთს, რაც ხანდახან არ გამოგვდის, და რის გამოც ყველაზე მეტ კრიტიკას ვიმსახურებთ, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს ტექნიკური პრობლემაა ხოლმე. უბრალოდ, არ გვესმის რას ►



„მაქსიმალურად ვცდილობ მოვერგო ფორმატს და დარწმუნებული ვარ, საბოლოო ჯამში ჩვენ ერთიან ორგანიზმად ჩამოვყალიბდებით“ – ნინო ნადირაძე-კუზანოვა



„გადაცემას რამდენჯერმე ვუყურებ. ვცდილობ გამოვასწორო ყველა ის შეცდომა, რომელსაც საკუთარ თავს შევამჩნევ“ – სალომე ღვინიაშვილი



ირაკლი: „თითოეულ ჩვენგანს თავისი მაყურებელი ჰყავს და Prime Show სწორედ ამით იგებს. იგი აერთიანებს ძალიან დიდ აუდიტორიას“.

**„წამყვანის ამპლუა ადვილად მოვირგე. რაც მთავარია, არ „ვჟურნალისტობ“ – ვარ ისეთი ანრი ჯოხაძე, როგორსაც იცნობენ და მოსწონთ“ – ანრი ჯოხაძე**

საუბრობს იმ მომენტში თანაწამყვანი ან სტუმარი. იმედია ეს პრობლემა მოგვარდება და ჩვენც ამ კუთხით გამოვსწორდებით.

დღევანდელ ფონზე რთულია მაყურებელს შესთავაზო რაღაც ახალი და განსხვავებული. ვფიქრობ, რომ PRIME SHOW-მ ეს შეძლო!“

## ანრი ჯოხაძე

„იმ გადაცემების ფონზე, რაც დღეს „იმედის“ არხზე საკმაოდ დიდი რეიტინგით სარგებლობს, PRIME SHOW-მ ერთ თვის მონაცემებით ძალიან კარგი შედეგი აჩვენა. რასაკვირველია, მიხარია და კმაყოფილიც ვარ, თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ რაღაც დეტალები გამოსასწორებელია. იმედი მაქვს ჩვენი პროდიუსერები ამ საკითხს მიხედავენ.

წამყვანის ამპლუა ადვილად მოვირგე. მიმაჩნია, რომ ძალიან სოციალური ადამიანი ვარ, კომუნიკაცია ადამიანების არცერთ კატეგორიასთან ნამდვილად არ მიჭირს. რაც მთავარია, არ „ვჟურნალისტობ“ – ვარ ისეთი ანრი ჯოხაძე, როგორსაც იცნობენ და მოსწონთ.

წამყვანებს გუნდური პრინციპი გვაერთიანებს. ერთმანეთის იმიჯზეც კი ვზრუნავთ – დებატებში ზღვარს არასოდეს გადავდივართ. ასევე ვცდილობთ გავაკონტროლოთ და დავაბალანსოთ სიტუაცია მწვავე პოლემიკის დროს.

PRIME SHOW-ს ყველაზე რთული მხარე არის თემები, საკითხები, რაშიც შეიძლება დილეტანტი აღმოვჩნდე. ეს მომენტი ცოტა მაშინებს ხოლმე. რასაკვირველია ამ თემას ვამუშავებ, ვეცნობი უამრავ მასალას, რაც მეხმარება ჩემი აზრის ჩამოყალიბებაში. გადაცემის პროცესში კი სწორედ ამ აზრს ვემხრობი და ვიცავ. ეს საქმეს მიადვილებს“.

## სალომე ღვინიაშვილი

„იმის მიუხედავად, რომ ტელევიზიასთან შეხება ყოველთვის მქონდა, სრულიად ახალ რამეს შევეჭიდე, რაზეც ვერ ვიტყვი, რომ ადვილია. შოუმ წარმატებული სტარტი აიღო, მომავალში კი უფრო განვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ საკითხებში შესაძლოა არაკომპეტენტურიც კი ვიყო, გადაცემაზე მუშაობის პროცესი ჩემთვის უაღრესად საინტერესოა. არაჩვეულებრივი გუნდი ვართ, აბსოლუტურად განსხვავებული ექვსი ადამიანი ერთმანეთს ძალიან კარგად შევეწყვეთ და ვფიქრობ, რომ საწყის ეტაპზე ეს უმნიშვნელოვანესია. ჩვენთან ერთად გადაცემაზე უამრავი ადამიანი მუშაობს. გამოვყოფდი პროდიუსერ მაია სტეფნაძეს, რომელიც ჩვენ, როგორც გამოუცდელ წამყვანებს, მაქსიმალურად გვეხმარება და ბევრ რამეს გვასწავლის.

გადაცემას რამდენჯერმე ვნახულობ. ვცდილობ გამოვასწორო ყველა ის შეცდომა, რომელსაც საკუთარ თავს შევამჩნევ. ზოგადად, არასოდეს ვარ თვითკმაყოფილი. კრიტიკას ვიღებ, ოღონდ ყველასგან არა. ბუნებრივად მივიჩნევ ყველა დადებით და უარყოფით შეფასებას, რაც ჩვენი გადაცემის მისამართით გაჟღერებულა და მომავალშიც გაჟღერდება. თუმცა იმასაც დავამატებ, რომ აგრესიული კრიტიკა ჯერ არ მომისმენია და იმედია, არც მოვისმენ“.

## ირაკლი მაჭაცარია

„როდესაც ამ შოუს წამყვანობა შემომთავაზეს, ერთადერთი, რამაც დამაფიქრა, იყო ის, თუ ▶



როგორ შევძლებდი ჩემი დროის სწორად გადანაწილებას. ჩემი ძირითადი საქმიანობა ტელევიზიასთან დაკავშირებული არ არის. PRIME SHOW-ს გარდა, დაკავებული ვარ სხვა პროექტებშიც. მათ შორისაა „ცეკვავენ ვარსკვლავები“. დამეთანხმებით, ეს ყველაფერი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერთან გამკლავება უძილობის ხარჯზე მიწევს.

ძალიან მომწონს წამყვანის ამპლუა. არაჩვეულებრივი პარტნიორები მყავს. თითოეულ ჩვენგანს თავისი მაყურებელი ჰყავს და PRIME SHOW სწორედ ამით იგებს. იგი აერთიანებს ძალიან დიდ აუდიტორიას.

ამ გადაცემის წამყვანობა თავიდანვე ექსპერიმენტი იყო, რადგანაც შესაბამისი გამოცდილება არ მქონდა. ჩემთვის წამყვანი ერთგვარი მედიატორია მაყურებელსა და სტუდიაში მყოფ რესპონდენტს შორის. შესაბამისად, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო როლია, რომელსაც იმედი მაქვს თავს ვართმევ“.

ქართული HELLO! წარმატებას უსურვებს ახალბედა წამყვანებს. მაყურებელს კი მოუწოდებს მიუსხდნენ ტელევიზორებს შაბათს, საღამოს ათზე, და ჩართონ „იმედის“ არხი.

**ტექსტი**: ლულუ კახიანი
**ფოტო**: იკა პირველი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა**: AVTANDIL
**მაკიაჟი**: TAKOKOPADZE MAKEUP
**ვარცხნილობა**: NATALI
**ლოკაცია**: AMBASSADORI TBILISI

**„PRIME SHOW-ს ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, სამომავლოდ ძალიან დიდი რესურსი აქვს“ – ნოე სულაბერიძე**

**დღევანდელ ფონზე რთულია მაყურებელს რაღაც ახალი და განსხვავებული შესთავაზო. წამყვანების აზრით, Prime Show-მ ეს შეძლო.**


CND™
Nails. Fashion. Beauty.
CND Shellac
Mambo Beat
Sugarcane
Palm Deco
Shimmering Shores
Ripe Guava
Shells In The Sand
ოფიციალური წარმომადგენელი
PROF BEAUTY
facebook.com/professionalbeauty.ge
PROF BEAUTY - ისთ ფოინთი, FRANK PROVOST - აბაშიძის 22, PALAZZO PRIVE - ფალიაშვილის 43, ბლაშ – ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალი, მე-2 კორპუსი
ლე ბიურო – ცინცაძის 3, ექსელენსი - ფალიაშვილის 44/5, ვიზაჟი - ჯანაშვილის 5/7, ირინა - იოსებიძის 61, მელანჟი - ფალიაშვილის 72, ბონიტა - პეკინის 15
მილანო - ყიფშიძის 13, ლა ტრუფე - თამარაშვილის 4ა, საკურამი – ყიფშიძის 2, დესანჟი – აბაშიძის 3, რესპექტი - თაქთაქიშვილის 11, დერმა - ყაზბეგის 25ა
ქალთა ბედნიერება - გამსახურდიას 7; აღმაშენებლის 95, ანასტასია - პეკინის 37, ამბრელა - ხმელინცკის 153, კლასი - პეკინის 22, შაკო საჭაია - ფალიაშვილის 3
კოსტავას 37/39, პოდიუმი - ფალიაშვილის 41; ვეკუას 3; ქავთარაძის 1 (გუდვილი), დანილი - პეკინის 34





# „მემკვიდრეობის ჯილდო“

## პრინცესა დაიანას საჩუქარი თანამედროვე ახალგაზრდებს

უკვე 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც **პრინცესა დაიანა** ტრაგიკულად დაიღუპა. საბედისწერო თარიღს, 1997 წლის 31 აგვისტოს, მსოფლიო წელსაც განსაკუთრებული ცერემონიით გაიხსენებს – სპეციალურად დაწესებული **„მემკვიდრეობის ჯილდო“** (Legacy Award) 20 გამორჩეულ ახალგაზრდას გადაეცემა. ღონისძიება, რომლის ორგანიზატორი **Diana Award** იყო, მაისში გაიმართა და მასში უშუალო მონაწილეობა მიიღეს **პრინცმა ჰარიმ** და **პრინცმა უილიამმა**.

დაჯილდოების ცერემონია კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმას, რისიც დაიანას ყველაზე მეტად სწამდა – ის დარწმუნებული იყო, რომ ახალგაზრდების პოზიტიურ ენერგიას სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა შეეძლო. სწორედ ამიტომ, საპატიო ჯილდოს მიღება შეუძლია ნებისმიერ ახალგაზრდას ნებისმიერი ქვეყნიდან. შეზღუდულია მხოლოდ ასაკი – 9-დან 18 წლამდე. აღსანიშნავია, რომ ჟურნალი HELLO! წელს **Diana Award**-ის უშუალო პარტნიორია და მასთან ერთად ეძებს მსოფლიოში გაფანტულ თინეიჯერებს განსაკუთრებული ისტორიებით.

**„მემკვიდრეობის ჯილდო“** წინა წლებში კანადელ, ბერძენ, არაბ და ინდოელ ახალგაზრდებს გადაეცათ. შთამაგონებელი მაგალითები არიან რიო-დე-ჟანეიროელი დები – **მარისოლ** და **მეიარა მონტეიროები**, რომლებმაც მაწანწალა ძაღლებზე ზრუნვა საკუთარი ინიციატივით დაიწყეს. ასევე საინტერესოა ნიუ-იორკელი ვალერი უეისლერის ისტორია, რომელმაც ძალადობის საწინააღმდეგო პროექტი და 907-ზე მეტ სკოლაში აპრობირებული **„სიკეთის პროგრამა“** შექმნა. სწორედ მსგავსი საქმიანობისთვის დაჯილდოვდებიან ისინი, ვინც თავიანთ კანდიდატურას წარადგენენ.

თუ გსურთ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია ან წარადგინოთ თქვენი ან თქვენი ნაცნობი ახალგაზრდის კანდიდატურა, ეწვიეთ ვებგვერდს **dianaaward.org.uk** და გაუზიარეთ მსოფლიოს **„სიკეთის ისტორიები“**.

**ტექსტი**: ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო**: THE DIANA AWARD. GETTY IMAGES.



# სერენა უილიამსი

## პირველ შვილს ელოდება

**სერენა უილიამსს** მალე პაწაწინა პარტნიორი ეყოლება. ჩოგბურთელმა სასიხარულო სიახლე Snapchat-ში გამოაქვეყნა და გულშემატკივრებს ამცნო, რომ მისი ორსულობის პერიოდი უკვე 20 კვირას ითვლიდა. მიუხედავად იმისა, რომ ყვითელ საცურაო კოსტიუმში გადაღებული ფოტო მალევე წაშალა, მისმა წარმომადგენელმა **კელი ბუშ ნოვაკმა** ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა. შემდეგ კი თავად სერენაც ალაპარაკდა და აღიარა, რომ პოსტის წაშლის ამბავი საკმაოდ კურიოზული იყო: ***„სიახლეს ჯერ არ ვახმაურებდი. რომელიღაც აპლიკაციით ყოველკვირეულ ფოტოებს ვიღებდი და ორსულობის განვითარებას ასე ვაკვირდებოდი. ყველაფერს ჩემთვის, დაფარულ ალბომში ვინახავდი. ამ დღეს კი შემეშალა და ფოტო სახალხოდ გამოვაქვეყნე. ყველაფერი ასე, შემთხვევით გამჟღავნდა“***. ბავშვის სქესი ჯერჯერობით უცნობია. მომავალი დედ-მამა ამტკიცებს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, გოგონა იქნება თუ ბიჭი: ***„სქესის გაგებას არ ვჩქარობთ. გვინდა სიურპრიზად დარჩეს“***.

შეგახსენებთ, რომ 35 წლის ჩოგბურთელის მომავალი შვილის მამა 34 წლის **ალექსის ოჰანიანია**. სერენას საქმრო **Reddit**-ის თანადამფუძნებელია და მას ფართო საზოგადოება უკვე კარგად იცნობს. წყვილი დეკემბერში დაინიშნა და უილიამსმა ეს სიახლეც სოციალური ქსელით გაახმაურა: ***„შინ მოვედი. ცოტათი შემაგვიანდა. ჩემი ტანსაცმელი ჩაბარგებული დამხვდა. მძღოლიც მიცდიდა. მიმართულება რომი იყო. ესკორტმა ჩემს „პრინცამდე“ მიმიყვანა. ის იქ მელოდებოდა, სადაც ერთმანეთს პირველად შემთხვევით შევხვდით. დაიჩოქა და დამისვა შეკითხვა, რომელზეც ჩემი პასუხი იყო – „დიახ, თანახმა ვარ“***

წყვილმა სულ ცოტა ხნის წინ Humans of New York-ის ცნობილი ფოტობლოგისთვისაც იპოზიორა. აღწერაში ალექსისმა საყვარელი ქალის შესახებ ისაუბრა: ***„ის ყველაზე გულიანი ადამიანია, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ. თქვენ მხოლოდ წარმატებულ ათლეტად აღიქვამთ, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი მის დიდ გულში იმალება და ამ გულს ყველაფერში 100%-ით დებს: მეგობრობაში, სიყვარულში, პარტნიორობაში, დედობაში...“***

სერენა შვილს შემოდგომაზე გააჩენს. მისი კარიერული გეგმები ჯერჯერობით უცნობი რჩება.

**ტექსტი**: ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო**: GETTY IMAGES.


OKTOPUS FITNESS CLUB
ok top us
ოქტოპუს ფიტნეს კლუბი
Be ok
Climb to the top
Become one of us
OPEN: 24/7
სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/






# ნოა ბუბლეს

## ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა

ექვს თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც **მაიკლ ბუბლემ** და **ლუისანა ლოპიატომ** პატარა ნოას ავადმყოფობის შესახებ ისაუბრეს. სიმსივნის დიაგნოზმა, რომელიც მათ უფროს შვილს დაუსვეს, ოჯახის ცხოვრება და გეგმები მთლიანად შეცვალა. კანადელმა მომღერალმა განაცხადა, რომ კარიერას თავს ანებებდა, ვიდრე ნოა მკურნალობას არ დაასრულებდა. გაუქმდა კონცერტები და ახალი ალბომის პოპულარიზაციისთვის დაგეგმილი სხვა ღონისძიებები. მოკლედ, ვარსკვლავური წყვილის ყოველდღიურობა მთლიანად შვილზე ზრუნვამ მოიცვა.

საბედნიეროდ, გაზაფხული უკეთესი ამბებით დასრულდა და ნოას ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ბუენოს-აირესში გამართულ პრესკონფერენციაზე ლუისანამ ახალი ფილმის – Those Who Love, Hate შესახებ ისაუბრა და ოჯახსაც შეეხო. ***„ჩვენ ძლიერი და ერთიანი ოჯახი გვაქვს და ყველა დაბრკოლებას უშიშრად ვებრძვით. შვილისთვის ყველაფერი გავაკეთეთ და მაქსიმალურად ვეცადეთ, მისთვის ყველა პროცესი გაგვემარტივებინა“***, – აღნიშნა „მეამბოხე სულების“ ვარსკვლავმა და იმედიანად დაამატა, – ***„ახლა უკვე მომავალზე ვიწყებთ ფიქრს და ერთი სული გვაქვს, ჩვენი შვილები როდის გაიზრდებიან“***.

შეგახსენებთ, რომ ნოა აშშ-ში მკურნალობდა, დანარჩენ დროს კი არგენტინაში – დედამისის სახლში ატარებდა. მაიკლ ბუბლეს თქმით, ბიჭი უფრო და უფრო კარგად ხდება და ექიმებიც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. რაც მთავარია, პატარა ნოას მებრძოლი ბუნება აქვს და გარშემომყოფებს თავისი განწყობითა და დამოკიდებულებით მუდმივად ამხნევებს. მკურნალობა კი წარმატებულად გრძელდება და იმედოვნებენ, რომ სასურველ შედეგებს მოიტანს.

**ტექსტი**: KATHRYN WILSON. **ფოტო**: GETTY IMAGES.



# ვიქტორია ბექჰემი

## ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დაჯილდოვდა

**ვიქტორია ბექჰემს** ბრიტანეთის იმპერიის ორდენი გადაეცა. ყოფილმა **SPICE GIRLS**-ელმა ეს საპატიო ჯილდო პირადად **პრინც უილიამისგან**, ბუკინგემის სასახლეში მიიღო. დიზაინერს ახლდნენ მშობლები და ამავე ორდენით შემკობილი დევიდ ბექჰემი, რომელიც მეუღლეს განსაკუთრებული მღელვარებით გულშემატკივრობდა.

როგორც ყოველთვის, ვიკი უზადოდ გამოიყურებოდა. მას საკუთარი დიზაინით შექმნილი გრძელი შავი კაბა და ასეთივე გლამურული ფეხსაცმელი ამშვენებდა. ბრიტანეთის იმპერიის საპატიო ორდენი ვიქტორიას მოდის ინდუსტრიაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისა და 17-წლიანი სამაგალითო კარიერული მოღვაწეობისთვის გადაეცა.

***„ბუკინგემის სასახლეში საოცარი სიამოვნება მივიღე“***, – აღნიშნა **ვიქტორია ბექჰემმა** ცერემონიალის დასრულების შემდეგ, – ***„ვამაყობ, რომ ბრიტანელი ვარ და ჩემთვის უდიდესი პატივია კემბრიჯის ჰერცოგისგან ბრიტანეთის იმპერიის ორდენის მიღება. თუ მეოცნებე ხარ და შრომაც გიყვარს, საოცარი რაღაცების მიღწევა შეგიძლია – ეს უნდა დაიმახსოვროთ. უბედნიერესი ვარ, რომ ამ სიხარულს ჩემს მშობლებსა და მეუღლეს ვუზიარებ – მათი სიყვარულისა და თანადგომის გარეშე ვერაფერს შევძლებდი“***.

ვიქტორიათი ამაყობდა დევიდიც, რომელმაც Instagram-ის მიმდევრებს თავისი ბედნიერება გულთბილი პოსტით გაუზიარა: ***„დღეს განსაკუთრებული თარიღია. ეს ახალგაზრდა ქალბატონი – შრომისმოყვარე ქალი, დედა და მეუღლე – ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვეს. ჩვენი ოჯახი ყველაზე ამაყია“***.

ცნობისთვის: ვიკის მეუღლემ, **დევიდ ბექჰემმა,** ანალოგიური ორდენი 2003 წელს მიიღო. დედოფალმა ფეხბურთის ვარსკვლავი სპორტის ამ სახეობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დააჯილდოვა.



**ტექსტი**: ელენე გარსევანიშვილი. **ფოტო**: INSTAGRAM.

ელიტ ელექტრონიქსი ELIT ELECTRONICS

BOSCH
შექმნილია ცხოვრებისთვის

# იგივე სრულყოფილი გემო და არომატი, როცა მოისურვებთ!



იდეალური ყავის გასაკეთებლად, თქვენ გჭირდებათ გამოცდილების ხანგრძლივი წლები ან BOSCH-ის ბარისტა ტექნოლოგია. მნიშვნელობა არ აქვს, რას ამჯობინებთ - ესპრესოს, ლატეს, ნაღებიან ყავას, კაპუჩინოს თუ ლატე-მაკიატოს - BOSCH-ის ავტომატურ ყავის აპარატთან ერთად, თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ ყავის სრული არომატით.

BOSCH-ის ყავის აპარატები ბაზარზე გამოირჩევა უნიკალური ოპციებით:

- ყველაზე სწრაფი პირველი ჭიქა (40 წამში)
- ყავის აპარატის თვითწმენდის ფუნქცია.
- კერამიკული საფქვავი, რომელიც უზრუნველყოფს ყავის იდეალურ გემოს.
- კოფეინის შემცველობის რეგულირება ინდივიდუალურად, სურვილის მიხედვით.
- ყავის მომზადების ტემპერატურის რეგულირება.
- 2 ჭიქის ერთდროულად მომზადების საშუალება.

ElitElectronics www.ee.ge 2 48 48 48

„მივესალმები ყველანაირ სიახლეს. მსოფლიო მოდის კვირეულებზე ხშირად თანამშრომლობენ სხვადასხვა არტისტთან. ეს აპრობირებული პრაქტიკაა“.



„უშუალოდ მუსიკალური მიმდინარეობა არ შემიცვლია. ტექნოს ვუკრავდი და დღესაც ამ მიმართულებით მივდივარ, თუმცა შეიცვალა ჟღერადობა. რამდენიმე წლის წინ უფრო მძიმე მუსიკა გამომდიოდა, ახლა კი „დავარბილე“

# ახალგაზრდა არტისტი A2K

## მოდის ინდუსტრიის ტრენდულ მუსიკასა და ახალ ალბომზე გვიყვება




„როდესაც ვახსენებ, რომ საქართველოდან ვარ, ჩემ მიმართ დიდი ინტერესი ჩნდება. ყველა ცდილობს ჩემს მუსიკას მოუსმინოს და გამიცნოს, როგორც არტისტი“



„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, სადაც ვუკრავ. როდესაც რომელიღაც კარგი ფესტივალიდან ვბრუნდები, ყოველთვის მაქვს იმის ინსპირაცია, რომ რაღაც ახალი დავწერო“.





MERCEDES BENZ FASHION WEEK TBILISI-ის დასრულების შემდეგ, მოდის კვირეულის დიჯეის შესახებ ბევრი კითხულობს. A2K, ანუ ათუკა ედიშერაშვილი, პირველი ქართველი არტისტია, რომელიც კვირეულის ლოკაციაზე მთელი ღონისძიების განმავლობაში უკრავდა. მასვე უნდა უმადლოდნენ FASHION WEEK-ის AFTER PARTY-ებზე მოსული სტუმრები. ახალგაზრდა მუსიკოსს, რომელიც საკუთარ მუსიკასაც ქმნის, ახალ გამოცდილებაზე გავესაუბრეთ.

**რამდენად განსხვავებულია მოდის კვირეულზე დაკვრა? არის თუ არა ეს სპეციფიკური სცენა?**

A2K მოდის კვირეულზე დაკვრა სრულიად განსხვავებული სპეციფიკაა. უნდა მოერგო იმ ხალხს, რომელიც ღონისძიებაზე კონკრეტული




**„მოდის კვირეულზე დაკვრა სრულიად განსხვავებული სპეციფიკაა. უნდა მოერგო იმ ხალხს, რომელიც ღონისძიებაზე კონკრეტული მიზნით მოდის“**

მიზნით მოდის. არც შეუმჩნეველი უნდა დარჩე და არც თავი მოაბეზრო. MERCEDES BENZ FASHION WEEK TBILISI-ზე დაკვრა ჩემთვის გამორჩეული გამოცდილება იყო.

**როგორია ტრენდები Fashion მუსიკაში?**

A2K 2010-2011 წლების სეზონებზე, რამდენიმე დიზაინერისთვის შევქმენი კომპოზიციები. მაშინ უფრო მძიმე მუსიკა იყო ტრენდული და მოთხოვნაც ასეთი ჰქონდათ. წელს გაცილებით მსუბუქი მუსიკაა აქტუალური – დისკო, ფანქი და მსგავსი ჟანრები ძალიან უხდება მოდურ გარემოს.

**თქვენ თუ შეცვალეთ მუსიკალური მიმართულება ამ წლების მანძილზე?**

A2K უშუალოდ მუსიკალური მიმდინარეობა არ შემიცვლია. ტექნოს ვუკრავდი და დღესაც ამ მიმართულებით მივდივარ, თუმცა შეიცვალა ჟღერადობა. რამდენიმე წლის წინ უფრო მძიმე მუსიკა გამომდიოდა, ახლა კი „დავარბილე“. ეს მიმართულება ევროპაშიც საკმაოდ აქტუალურია. შეუძლებელია ყველა ღონისძიებას ერთნაირად მოუხდეს მძიმე მუსიკა.

**პირველად მოხდა, რომ მოდის კვირეულის მსვლელობისას ლოკაციაზე დიჯეი უკრავდა. ეს ტენდენცია რამდენად აქტუალურია ევროპაში?**

A2K მივესალმები ყველანაირ სიახლეს. მსოფლიო მოდის კვირეულებზე ხშირად თანამშრომლობენ სხვადასხვა არტისტთან. ეს აპრობირებული ▶



**„წინასწარ არასოდეს დამიგეგმავს, რას დავუკრავ ღონისძიებაზე, თუმცა ამჯერად ვიცოდი, რომელი მიმართულებით წავიდოდი“**

პრაქტიკაა. ჩვენთან DJ მხოლოდ AFTER PARTY-ზე უკრავს. პირველად მოხდა, რომ კვირეულის განმავლობაში ყოველდღე მომიწია დაკვრა და ძალიან კმაყოფილი ვარ. ლოკაციაც საკმაოდ საინტერესო იყო. მუზეუმში პირველად ვუკრავდი. მიუხედავად იმისა, რომ FASHION WEEK-ზე ხშირად სტუმრის სტატუსით ვყოფილვარ და ამ სფეროში ბევრს ვიცნობ, პროფესიული შეხება პირველად მოხდა. მიმაჩნია, რომ კარგად გავუგე კვირეულის სტუმრებს. წინასწარ არასოდეს დამიგეგმავს, რას დავუკრავ ღონისძიებაზე, თუმცა ამჯერად ვიცოდი, რომელი მიმართულებით წავიდოდი.

**ბოლო წლებია ქართული კლუბური ცხოვრებითაც ბევრი ინტერესდება. რამდენად ეხმარება ეს ინტერესი ქართველ არტისტებს?**

A2K ძალიან მიხარია, რომ რამდენიმე ქართული კლუბი საზღვარგარეთ ძალიან პოპულარულია. ხშირად მეკითხებიან ჩემი უცხოელი მეგობრები ამ ლოკაციების შესახებ. როდესაც ვახსენებ, რომ საქართველოდან ვარ, ჩემ მიმართ დიდი ინტერესი ჩნდება. ყველა ცდილობს ჩემს მუსიკას მოუსმინოს და გამიცნოს, როგორც არტისტი. ეს ინტერესი უპირველესად კონტაქტების დამყარებაში მეხმარება.

**ყველაზე ხშირად სად ქმნით მუსიკას?**

A2K ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, სადაც ვუკრავ. როდესაც რომელიღაც კარგი ფესტივალიდან ვბრუნდები, ყოველთვის მაქვს იმის ინსპირაცია, რომ რაღაც ახალი დავწერო. ყოველთვის მეხმარება ხალხის ემოცია. ყველაზე ხშირად მუსიკას ჩემს სტუდიაში ვწერ. აქ თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ. H

**ტექსტი**: ნინუცა მაისურაძე
**ფოტო**: იკა პირველი
**ჩაცმულობა**: TOPMAN
**ლოკაცია**: FABRIKA

**„2010-2011 წლების სეზონებზე, რამდენიმე დიზაინერისთვის შევქმენი კომპოზიციები. მაშინ უფრო მძიმე მუსიკა იყო ტრენდული და მოთხოვნაც ასეთი ჰქონდათ. წელს გაცილებით მსუბუქი მუსიკაა აქტუალური – დისკო, ფანქი და მსგავსი ჟანრები ძალიან უხდება მოდურ გარემოს“.**




# რადიო „ფორტუნა"
# ოქროს სტანდარტი FM-ზე





ომ-პოზიტორი ნიკოლოზ რაჭველი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც „ოქროს ტალღის“ გამარჯვებულები გამოავლინა და დააჯილდოვა (ზევით). წლების განმავლობაში დაჯილდოვების ჟიურის წევრებს შორის ბევრი ცნობილი სახე მოხვდა. მათ შორის ერთ-ერთი ტელეწამყვანი – დუტა სხირტლაძე გახლდათ (ქვევით).



„წლის საუკეთესო სიმღერა“, „საუკეთესო შემსრულებელი მამაკაცი და ქალი“, „საუკეთესო ვიდეორგოლი“ და ა.შ. ამ და სხვა ნომინაციებში საუკეთესოს ტიტულებს რადიოჰოლდინგი „ფორტუნა“ ყოველ წელს უკვე მეოთხედ გასცემს. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მუსიკალური პროექტი – „ოქროს ტალღა“ ამჯერად გამარჯვებულ მუსიკოს-შემსრულებლებს 17 სხვადასხვა ნომინაციაში გამოავლენს. მთავარი ჯილდო – 5 ათასი ლარის საპრიზო ფონდი კი „წლის სიმღერის“ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა. დაჯილდოების ცერემონია წელს, ივნისის ბოლოს, ფუნიკულიორზე, მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე გაიმართება.

„ოქროს ტალღის“ ჯილდოს მფლობელებს შორის წლების განმავლობაში ისეთი შემსრულებლები ხვდებოდნენ, როგორებიც ნიაზ

**„ოქროს ტალღის“ ჯილდოს მფლობელებს შორის წლების განმავლობაში ისეთი შემსრულებლები ხვდებოდნენ, როგორებიც ნიაზ დიასამიძე, ანრი ჯოხაძე, ნინი ბადურაშვილი და სხვები არიან**

გასულ წელს თამარ გვერდწითელს ჯილდო ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართული სიმღერის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცა (მარცხნივ).ნინი ბადურაშვილი 2016 წლის „ოქროს ტალღის“ გამარჯვებულია. მან წლის მომღერალი ქალის ჯილდო მოიპოვა (მარჯვნივ).







# „ოქროს ტალღა“ 2017

## „წითელი ხალიჩა“, ქართული შოუბიზნესი და წლის საუკეთესო სიმღერა

დიასამიძე, ანრი ჯოხაძე, ნინი ბადურაშვილი და სხვები არიან. გასული წლის კონკურსის გამარჯვებულები ნიაზ დიასამიძე და „33ა“ სიმღერით „ნამი ველს“ გახდნენ. 2014 წელს კი საუკეთესოს ტიტული ანრი ჯოხაძემ, სიმღერით „განა ყველა ქალი ქალია?!“ მოიპოვა.

„წლის სიმღერის“ ტიტულის მფლობელს კომპეტენტური ჟიური გამოავლენს, რომლის წევრების ვინაობა დაჯილდოების დღეს გახდება ცნობილი. კატეგორიაში „ხალხის რჩეული“ გამარჯვებული ის მონაწილე გახდება, რომელიც კონკურსის ვებგვერდზე ხმების ყველაზე დიდ რაოდენობას დააგროვებს. „ოქროს ტალღა“ ერთადერთი მუსიკალური დაჯილდოებაა, რომელიც სრულიად ქართულ შოუბიზნესს მოიცავს და მუსიკოს-შემსრულებლებს ყოველწლიურად აჯილდოებს. ამ უკანასკნელში მონაწილე სიმღერების სიის შედგენა, გასული წლის მანძილზე, ოთხ რადიოსადგურზე გაჟღერებული ყველაზე აქტუალური კომპოზიციებიდან ხდება. „ოქროს ტალღის“ ქანდაკებას, სპეციალურად კონკურსისთვის, მოქანდაკე ირაკლი წულაძე უკვე მეოთხე წელია ქმნის. სწორედ მის მიერ შექმნილი ნამუშევრით დაჯილდოვდებიან კონკურსის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. პროექტის მიმდინარეობის შესახებ კი დაწვრილებით რადიოჰოლდინგის ოთხი რადიოსადგურის ეთერიდან ყოველდღიურად შეიტყობთ.

გასული წლის კონკურსის გამარჯვებულები ნიაზ დიასამიძე და „33ა“ სიმღერით „ნამი ველს“ გახდნენ (ზევით). 2014 წელს საუკეთესოს ტიტული ანრი ჯოხაძემ, სიმღერით „განა ყველა ქალი ქალია?!“ მოიპოვა, ბუბა კიკაბიძემ კი საპატიო ჯილდო დაიმსახურა (ქვევით).















## HELLO!-ს გლამურული წვეულება MUSEUM HOTEL-ში

HELLO!-მ **MERCEDES-BENZ FASHION WEEK**-ის განსაკუთრებულ სტუმრებს უმასპინძლა. წვეულებას, რომელიც **MUSEUM HOTEL**-ში გაიმართა, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული დიზაინერები და საპატიო სტუმრები დაესწრნენ. სასტუმრო, რომელიც ძველ დროში ქართულ არისტოკრატიას მასპინძლობდა, ამ-











ჯერად მოდის მოყვარულთა თავშეყრის ადგილად გადაიქცა და საღამოს მთავარ გმირებს თავი გლამურული გარემოთი, სპეციალური **BEAUTY BAR**-ით, გემრიელი მენიუთი და სასიამოვნო ატმოსფეროთი დაამახსოვრა. წვეულება მუსიკალურად დიჯეი **A2K**-მ გააფორმა.









# თვის დღიური











## HELLO!-ს წვეულება და MBFW-ის კულმინაცია

**MERCEDES-BENZ FASHION WEEK**-ის მთავარმა გმირებმა და გულშემატკივრებმა მოდის კვირეულის დასრულება HELLO!-ს მიერ ორგანიზებულ წვეულებაზე აღნიშნეს. **RADISSON BLU IVERIA-**ში შეკრებილმა სტუმრებმა ერთად შეაფასეს განვლილი დღეები და მთავარი მოდური მოვლენის ყველაზე

















გლამურული კულმინაციითაც ისიამოვნეს. მათ განწყობაზე ენერგიულმა მუსიკამ, მრავალფეროვანმა მენიუმ და სადღესასწაულო ატმოსფერომ იზრუნა. სტუმართა შორის იყვნენ კვირეულის ორგანიზატორები, დიზაინერები, მოდელები, უცხოური მედიის წარმომადგენლები და ქართველი FASHIONISTA-ები

აქვე შეგახსენებთ, რომ **MERCEDES-BENZ FASHION WEEK**-ის ერთადერთი ბეჭდური მედიაპარტნიორი სწორედ ჟურნალი HELLO! იყო.


















# ახალი DISCOVERY-ის დებიუტი

საქართველოში **LAND ROVER**-ის ავტომობილების ექსკლუზიურმა დილერმა, **„ჯი თი მოტორსმა“**, ლისის ტბაზე ახალი **„LAND ROVER დისქავერის“** ჯიპის პრეზენტაცია გამართა. მეხუთე თაობის **LAND ROVER**-ის ძლიერი, უსაფრთხო და მსუბუქი ზომის ჯიპის არქიტექტურითაა გამორჩეული. ეს უკანასკნელი კომფორტისა და ადაპტაციის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. განსაკუთრებული მოდელი პრაქტიკულობისა და დახვეწილი დიზაინის იდეალური კომბინაციაა. ძლიერი პრემიუმმოდელი **„LAND ROVER დისქავერის“** ოჯახის ახალ ეტაპს რევოლუციური დიზაინითა და საინჟინრო ტექნოლოგიით იწყებს.  ახალი მოდელის წარდგენა ბიზნესსექტორის წარმომადგენლების, **LAND ROVER**-ის ერთგული მომხმარებლებისა და მედიის წრეში მოხდა. მთელი საღამოს განმავლობაში, სტუმრებს **DISCOVERY**-ის ახლოდან გაცნობის, დათვალიერებისა და შეფასების საშუალება ჰქონდათ.








**თბილისი**

მიმინოშვილის ქ. 2; ა. მიცკევიჩის ქ. 18; ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-3 კვ. მე-5 კორპუსის მიმდებარედ (*მარიჯანის ქ. 16*); პეკინის გამზ. 25ა; აღმაშენებლის ხეივანი 1,6 კმ.; აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კმ (*თბილისი მოლის „კარფური“*); ა. თვალჭრელიძის ქ. 2 (*ისთ ფოინთის „კარფური“*); თბილისის საერთაშორისო აეროპორტი (*I სართული*)

**ბათუმი**

გორგილაძის ქ. 1/3 (*ბარათაშვილის ქ. 16-18*)

**ქუთაისი**

ბუხაიძის ქ. 23 (*სუპერმარკეტი „დეილი“*)

WWW.BADAGI.GE

ბადაგი / BADAGI









## „მოზაიკის“ გრანდიოზული წვეულება და სიახლეები

სარეკლამო სააგენტო **„მოზაიკამ“** გრანდიოზულ წვეულებას უმასპინძლა. საგანგებოდ შერჩეულ ლოკაციას, რომელიც ღონისძიებისთვის ექსკლუზიურად გაიხსნა, ბიზნესის, მარკეტინგისა და სარეკლამო სფეროს 2000-მდე წარმატებული და გამოჩენილი სტუმარი ეწვია.















კომპანიამ სარეკლამო ბაზარზე **„მოზაიკის“** არსებობის წარმატებული რვა წელი შეაჯამა და სტუმრებს სიახლე – საკონსულტაციო და სტრატეგიული მარკეტინგის სერვისები წარუდგინა.

მომსახურებას, რომელშიც აქამდე ბრენდირებული და იმპორტირებული მაღალი ხარისხის საჩუქრების შექმნა, ივენთის მენეჯმენტი, **BTL**-აქტივობები და ბეჭდური სერვისი შედიოდა, კრეატიული კამპანიების დაგეგმვა, ვებ და მობაილ-აპლიკაციების შექმნა, ციფრული მარკეტინგი, კოპირაიტინგი, მარკეტინგული და საკომუნიკაციო სტრატეგიების შექმნა და აღსრულება დაემატა.









საჩუქარი HELLO!-სგან

5 პირველი გამომწერი




საჩუქრად მიიღებს Beauty box-ს FABERLIC-სგან

გამოიწერეთ HELLO! GEORGIA ფასდაკლებით

38₾ ერთი წლით

DHL

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით

HELLO! თქვენს ოჯახებს ყოველთვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 1 წლიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება HELLO!-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**



ალექსანდრა ამბროსიომ Coachella-ზე 1970-იანი წლებისთვის დამახასიათებელი სტილი მოირგო.

ტექსტი: თამთა ლეჟავური. ფოტო: GETTY IMAGES.




SHOPPING

# GET THE LOOK!

**ალექსანდრა ამბროსიომ** წლევანდელ Coachella-ზე მუსიკალური ფესტივალისთვის აუცილებელი დრეს-კოდი ზედმიწევნით დაიცვა. სუპერმოდელმა ვინტაჟური სტილის დენიმის შორტი, თხელი ნაქსოვი ტოპი და კოვბოის შუზები ერთმანეთს ძალზე გემოვნებით შეუხამა. 1970-იანი წლების ესთეტიკით შთაგონებულ LOOK-თან ალესანდრამ ბოჰემური სტილის სამკაულები და თემატური აქსესუარებიც მოირგო.

**1.** მეტალის ოქროსფერი საყურე **KENNETH JAY LANE** 50₾ **theoutnet.com**; **2.** თხელი ნაქსოვი ტოპი **ISABEL MARANT ETOILE** 595₾ **alducadaosta.com**; **3.** კაპიუშონიანი სვიტერი **TOPSHOP** 80₾; **4.** სათვალე **MYKITA** 1250₾ **ssense.com**; **5.** შორტი **TOPSHOP** 100₾; **6.** Statetment სამაჯური **REVOLVE** 105₾ **revolve.com**; **7.** ბეჭდების ნაკრები **NOIR JEWELRY** 70₾ **brandoutlet.com**; **8.** კოვბოის შუზები **MAGNOLIA WESTERN** 430₾ **nordstrom.com**; **9.** ტყავის ჩანთა **YOINS** 60₾ **yoins.com**

FASHION

# MBFW TBILISI in 8 trends

ქვეყნის მთავარ FASHION მოვლენას – MERCEDES-BENZ-ის მოდის კვირეულს თბილისმა უკვე მეხუთედ უმასპინძლა. 40-ზე მეტმა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო დიზაინერმა პოდიუმზე 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექცია წარმოადგინა. HELLO! იმ ძირითად 8 მოდურ ტენდენციას გაგაცნობთ, რომლებიც ქართველი დიზაინერების კოლექციების მიხედვით, შემდეგ სეზონზე იქნება მოდური





AVTANDIL S/S 2017

LAKO BUKIA S/S 2017

LALO S/S 2017

GEORGE KEBURIA S/S 2017

## STATEMENT DRESSES

მთავარი მიზეზი, რის გამოც ქართული მოდა მსოფლიო მედიის ეპიცენტრში მოექცა, ის გახლავთ, რომ თითოეულ ადგილობრივ დიზაინერს გამორჩეული ხელწერა და ესთეტიკის სრულიად განსხვავებული აღქმა აქვს. ეს ყველაფერი საკმაოდ კარგად იგრძნობა მათ კოლექციებში, ყველაზე უკეთ კი – კაბების შექმნის პროცესში. ამ სეზონზე ყველაზე დასამახსოვრებელი, ჯაბა დიასამიძის სრულ კოლექციასთან ერთად, AVTANDIL-ის ქამრებით შექმნილი კაბაც აღმოჩნდა.

# SHOW SOME SKIN

გასული სეზონის ჰიტადქცეული ტრენდის – NAKED DRESS-ის კონცეფცია თბილისშიც საკმაოდ კარგად აითვისეს. შიშველ სხეულზე გამჭვირვალე კაბებისა და ბლუზების ტარებისკენ, DIOR-სა და VALENTINO-სთან ერთად, ახლა უკვე ადგილობრივი დიზაინერებიც მოგვიწოდებენ. თამამი და „პროვოკაციული“ მოდური ტენდენციის ქართული ვარიაციები საკმაოდ სექსუალური და ფემინური აღმოჩნდა.



AVTANDIL F/W 2017

DJABA DIASSAMIDZE F/W17

TAMUNA INGOROKVA S/S 2017

BESSARION F/W 2017

MATÉRIEL BY ALEKSANDER AKHALKATSISHVILI F/W 2017



BESSARION F/W 2017



DALOOD S/S 2017

LALO S/S 2017

GEORGE KEBURIA S/S 2017

ANOUKI S/S 2017

DALOOD S/S 2017

AVTANDIL S/S 2017

## PASTEL PINK

მიუხედავად იმისა, რომ პასტელის ვარდისფერი ერთი შეხედვით ზამთრის სეზონისთვის შეუფერებელია, ეს ტონი საკმაოდ აქტიურად გვხვდება როგორც ქართველი, ისე უცხოელი დიზაინერების კოლექციებში. ვარდისფრის გრადაციებით განსაკუთრებული ოსტატურობით ახალგაზრდა ქართველი დიზაინერი და საერთაშორისო მედიის ფავორიტი – გიორგი ქებურია მანიპულირებს. ამ კუთხით ანუკი არეშიძეც საკმაოდ საინტერესო LOOK-ებს გვთავაზობს.

# SOVIET SCHOOLGIRL

საბჭოთა ესთეტიკის ელემენტების გამოყენება ქართველი დიზაინერებისთვის უჩვეულო ნამდვილად არ გახლავთ, თუმცა ამ სეზონზე მსგავსი სიმბოლიკები ყველაზე დიდი დოზით ვიხილეთ. SOVIET სკოლის უნიფორმით შთაგონებული სილუეტები, განიერი თეთრი საყელოები, ყელსახვევები და ბაფთები, სხვებთან ერთად, BESSARION-მა და NICOLAS GRIGORIAN-მაც შემოგვთავაზეს.




BESSARION S/S 2017

DALOOD S/S 2017

NICOLAS GRIGORIAN S/S 2017

GEORGE KEBURIA S/S 2017

NICOLAS GRIGORIAN S/S 2017

NICOLAS GRIGORIAN S/S 2017



MATÉRIEL BY ALEKSANDE AKHALKATSISHVILI S/S 2017

TAMUNA INGOROKVA S/S 2017

SITUATIONIST S/S 2017

AVTANDIL S/S 2017

SITUATIONIST S/S 2017

# HEAD TO TOE LEATHER

ტყავი ქართველი დიზაინერების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფაქტურაა და გასაკვირიც არაა, რომ თავიდან ფეხებამდე LEATHER LOOK-ებს თბილისურ ჩვენებებზე ხშირად გვთავაზობენ. კლასიკური სილუეტის „მატრიცულ“ ლაბადებსა და კაბებთან ერთად, წელს ტყავი საკმაოდ ორიგინალურ, საბჭოური ესთეტიკით ინსპირირებულ სამოსზეც ვიხილეთ. საკმაოდ საინტერესო იყო გამოყენებულ ფერთა გამა – თამუნა ინგოროყვამ მკვეთრი წითელი ტყავის შარვალი შემოგვთავაზა, SITUATIONIST-მა კი ტყავის მუქი ნაცრისფერი კომბინეზონი.

# WIDE SHOULDERS

ბოლო 3 სეზონია განიერი მხრები და ფუტურისტული სილუეტები საკმაოდ მოდურია და როგორც ირკვევა, ეს ტენდენცია არც 2017 წლის შემოდგომა-ზამთარს გადავა მოდიდან. მკაცრი ფორმის OVERSIZED პიჯაკები, ბომბერები და კაბები, გამოკვეთილი ფემინური ხასიათისა და ძალაუფლების სიმბოლოდ ქართველმა დიზაინერებმა საკმაოდ მარტივად გადააქციეს.





DALOOD S/S 2017

ANOUKI S/S 2017

SITUATIONIST S/S 2017

ELOSHI S/S 2017

AVTANDIL S/S 2017

TAMUNA INGOROKVA S/S 2017

BEVZA S/S 2017

# CHIC OUTWEAR

ცხადია, 2017 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციების ჩვენება მოდური ლაბადებისა და ქურთუკების გარეშე ვერ ჩაივლიდა. AVTANDIL-მა და ANOUKI-მ PUFFER JACKET-ების საკმაოდ განსხვავებული და კომფორტული მოდელები შემოგვთავაზეს. ტყავის ფაქტურასა და OVERSIZED სილუეტებზე გაამახვილა აქცენტები SITUATIONIST-მა. ალექსანდრე ახალკაციშვილმა კი MATERIEL-ისთვის საკმაოდ საინტერესო ფერთა გამაში გადაწყვეტილი გრძელი ლაბადები შექმნა.



MATÉRIEL BY ALEKSANDER AKHALKATSISHVILI S/S 2017



MATÉRIEL BY ALEKSANDER AKHALKATSISHVILI S/S 2017



ANOUKI S/S 2017



LALO S/S 2017



DALOOD S/S 2017



SITUATIONIST S/S 2017



BESSARION
S/S 2017

AVTANDIL
S/S 2017

LAKO BUKIA
S/S 2017

ANOUKI
S/S 2017

MATÉRIEL BY ALEKSANDER
AKHALKATSISHVILI
S/S 2017

LAKO BUKIA
S/S 2017



ANOUKI S/S 2017

MATÉRIEL BY ALEKSANDER AKHALKATSISHVILI S/S 2017

DALOOD S/S 2017

MATÉRIEL BY ALEKSANDER AKHALKATSISHVILI S/S 2017

ELOSHI S/S 2017

NICOLAS GRIGORIAN S/S 2017



AVTANDIL
S/S 2017

DALOOD
S/S 2017



DJABA DIASSAMIDZE
F/W 2017

## THE POWER SUIT

მკაცრი სილუეტის პიჯაკები ყოველთვის ძლიერ ფემინურ ენერგეტიკასა და ხასიათთან ასოცირდება. ამ სეზონზე ქართველმა დიზაინერებმა პოდიუმზე 1980-იანი წლების ესთეტიკითა და ფორმებით ინსპირირებული POWER SUIT-ის კონცეფციის საკმაოდ ფართო სპექტრი გააცოცხლეს. პიჯაკები, COLOR-COORDINATED შარვლებსა და ქვედაბოლოებთან ერთად, როგორც აკადემიურ და ფორმალურ, ასევე საკმაოდ სადა სტილშიც ვიხილეთ.

FASHION

# Fresh Smoothies

ივნისი ყველა ქალბატონისთვის საზღვაო სეზონის „გენერალური რეპეტიციაა". ნებისმიერი FASHIONISTA-სთვის განსაკუთრებით საყვარელი თვე გარდერობის განახლებასთან, სიჭრელესა და მოდურ ექსპერიმენტებთან ასოცირდება. სწორედ ამ პერიოდში უნდა იყოთ ყველაზე თამამი ფერთა შერჩევისა და შეხამების კუთხით. ამ ყველაფერში კი, ცხადია HELLO! დაგეხმარებათ. ჩვენი ჟურნალის მოდის რედაქტორმა ოთხი მოდური ფერის ინსპირაციად ჯანსაღი „სმუზები" შეარჩია



HERMES S/S 2017

ALBERTA FERRETTI S/S 2017

**COURREGES**
სათვალე ღია იისფერი ჩარჩოთი
780₾
**farfetch.com**

**STRADIVARIUS**
ბლუზა გაშლილი მკლავებით
55₾

**NOVICA**
ვერცხლისფერი მეტალის ბეჭედი
169₾
**novica.com**

**ETRO**
მაღალწელიანი შარვალი პრინტებით
1 680₾
**farfetch.com**

**BUTTERO**
იისფერი კედები თასმებით
1 230₾
**farfetch.com**



**ZARA**
ჭრელი სარაფანი
Off the Shoulder
მკლავებით
149₾



**MARC JACOBS**
ჯინსის ქურთუკი ბროშებითა
და კრისტალებით
2 290₾
**farfetch.com**



**DIOR**
ღია ვარდისფერი
რუჟი
**LUTECIA**



**SALOME GHVINIASHVILI**
ორგანზის ვარდისფერი
კაბა სარჩულით
250₾



**ZARA**
პლისე ქვედაბოლო
უსწორმასწორო
სიგრძით
59₾




**YVES SAINT LAURENT**
ფრჩხილის
ატმისფერი ლაქი
**LUTECIA**



**SWATCH**
ჟოლოსფერი საათი
რეზინის სამაჯურით
**arttime**



TEYO
S/S 2017

VALENTINO
S/S 2017

LALO
S/S 2017

# JUICY BERRIES

კენკრის ნებისმიერი სახეობა ჯანსაღი „სმუზის“ შეუცვლელ ინგრედიენტთან ერთად, მოდური ტენდენციებისთვის ინსპირაციის წყაროს ფუნქციასაც ითავსებს. ჟოლოსფერი, მკვეთრი იისფერი, იასამნისფერი და პასტელის ვარდისფერი ტონალობები, რომლებიც თანაბრად უხდება Casual და Chic სტილს, სწორედ კენკროვანი ხილის ფერებითაა ინსპირირებული.



**DALOOD**
კლასიკური სილუეტის
გრძელი კაბა
500₾



**NOIR JEWELRY**
მეტალის ბეჭედი
ფერადი
კრისტალებით
370₾
**shopbop.com**



**JIMMY CHOO**
Statement ფეხსაცმელი
წვრილ ქუსლზე
1 430₾
**farfetch.com**



**ZARA**
ბოლერო ტროპიკული
პრინტებით
79₾

**ZARA**
მაღალწელიანი შორტი
ვინტაჟურ სტილში
69₾



**BARN'S**
Statement სათვალე
მწვანე ჩარჩოთი
3 050₾
**farfetch.com**

# AVOCADO & LIME

პასტელის პიტნისფერი, ხასხასა მწვანე და მკვეთრი სალათისფერი – ბუნების ყველაზე ორგანული და ჯანსაღი ფერი წელს საკმაოდ მოდური და გამორჩეულია. ტროპიკულ ტყეებთან ასოცირებადი ტონის ნებისმიერი გრადაცია საოცრად უხდება სეზონურ გარდეროფსა და სიქრელეს. 2017 წლის ზაფხულისთვის კი განსაკუთრებით აქტუალური მწვანე ფერის ბუნებრივი ქვებით გაწყობილი სამკაულები და აქსესუარებია.



**ZARA**
აბრეშუმის კიმონო
პრინტებით
229₾



**LACOSTE**
**S/S 2017**



**MICHAEL KORS**
**S/S 2017**






**DIOR**
თვალის „ჩრდილების"
მოდური ნაკრები
**LUTECIA**



**PALOMA BARCELO**
Casual ფეხსაცმელი
მეტალიკის აქცენტებით
680₾
**farfetch.com**



**KATE SPADE**
კაქტუსის ფორმის
მეტალის ბეჭედი
240₾
**nordstrom.com**




**ONIA**
მთლიანი საცურაო
კოსტიუმი პრინტებით
580₾
**farfetch.com**

**DALOOD**
ხალათის ტიპის კაბა
ტროპიკული პრინტებით
760₾

**DOLCE & GABBANA**
მინიკაბა პალმებიანი
პრინტით
2 620₾
**farfetch.com**

**BROGNANO**
საზაფხულო კაბა
ვინტაჟურ სტილში
1 550₾
**farfetch.com**

**ZARA**
კოქტეილის მინიკაბა
ასიმეტრიული აქცენტებით
59₾

**DALOOD**
გრძელი გაშვებული
სარაფანი წვრილ
ბრეტელზე
280₾

**SALVATORE FERRAGAMO**
**S/S 2017**

**JOES JEANS**
მაღალწელიანი
ჯინსის შარვალი
გაცრეცილი მუხლებით
710₾
**farfetch.com**

**ACNE STUDIOS**
საზაფხულო სარაფანი
გარდამავალ ფერებში
1 570₾
**net-a-porter.com**

**MICHELE**
კლასიკური დიზაინის
საათი ორნამენტებიანი
ციფერბლატით
2 890₾
**neimanmarcus.com**

**DALOOD**
**S/S 2017**

**SHOUROUK**
ზამშეს Statemet
სამაჯური
275₾
**matchesfashion.com**

**ZARA**
მაღალქუსლიანი
სანდლები
ხავერდის ფოთლებით
259₾



**MONIES**
მეტალის მასიური საყურე
გარდამავალ ფერებში
721₾
**farfetch.com**



**TOPSHOP**
სათვალე გამჭვირვალე
შუშითა და მეტალის
დეტალებით
55₾



**ASPESI**
გაშვებული ნარინჯისფერი
შარვალი პრინტებით
1 300₾
**farfetch.com**



**ROBERTO CAVALLI**
ღია პიტნისფერი
კოქტეილის კაბა
2 340₾
**farfetch.com**



**MARCHESA NOTTE**
ღია ლაიმისფერი კაბა
პრინტებიანი კორსეტით
1 080₾
**theoutnet.com**



ATELIER 10
S/S 2017

ATELIER KIKALA
S/S 2017

EMILIO PUCCI
S/S 2017

# CITRUS MIX

ციტრუსის ფერები საზაფხულოდ ყოველთვის ყველაზე ეფექტური, ეგზოტიკური და თვალშისაცემია. მხიარული და ხასხასა ტროპიკული ტონები ძალიან უხდება საზაფხულო წვეულებებსა და მუსიკალური ფესტივალების პერიოდს. ამ სეზონზე მკვეთრი ციტრუსისფერი Statement აქსესუარები სეზონის უპირობო MUST HAVE-ია. აუცილებლად შემატეთ თქვენს გარდერობს ნარინჯისფერი ჰაეროვანი სარაფანი ან ლიმონისფერი საზაფხულო კლატჩი.



**ZARA**
Casual სტილის
ფეხსაცმელი
მსხვილ ქუსლზე
169₾



**ZARA**
ნარინჯისფერი პლისე ქვედაბოლო
79₾

**SWATCH**
Statement საათი ციტრუსისფერი სამაჯურით
**arttime**



**BETTYS**
ქარვისფერი საყურე ნატურალური ქვებით
1 500₾
**popmap.com**



**MSGM**
საზაფხულო სარაფანი ბოჰემურ სტილში
1 540₾
**farfetch.com**

**KATE SPADE**
Statement საყურე პოპ არტის ელემენტებით
140₾
**nordstrom.com**



**ZARA**
კუბოკრული Duo – ტოპი ბრეტელების გარეშე და პაეროვანი ქვედაბოლო
99₾



**DOLCE & GABBANA**
გლადიატორის სტილის სანდლები თვლებით
1 365₾
**farfetch.com**



**ZARA**
ტყავის ყვითელი ჩანთა მეტალის აქსესუარებით
119₾



NINO BABUKHADIA S/S 2017

EMILIO PUCCI S/S 2017

TIBI S/S 2017



STELLA MCCARTNEY S/S 2017

DIANA KVARIANI S/S 2017

SALVATORE FERRAGAMO S/S 2017

NINO BABUKHADIA S/S 2017



**CARAVANA**
ჰაეროვანი სარაფანი
ფოჩებით
580₾
**net-a-porter.com**

**JASON WU**
შიფონის მინიკაბა
არშიებით
6 100₾
**net-a-porter.com**

**DALOOD**
ღია კრემისფერი კაბა
კლასიკურ სტილში
1 128₾

**AKA NANITA**
კრემისფერი
ბლუზა ბისერებით
360₾

**AKA NANITA**
ბრჭყვიალა ფაქტურის
კლასიკური შარვალი
360₾

*FASHION*

# *Almond & Nutmeg*

ფისტის, ნუშისა და კაკლის ინსპირაციით ამ სეზონზე ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი მოდური ფერთა გამა შეიქმნა

**ვარდისფერში გარდამავალი კრემისფერი**, **კარამელისფერი** და **ღია ყავისფერი** ტონალობები, რომლებიც თხილეულის ბუნებრივი ფერებითაა შთაგონებული, თქვენს საზაფხულო გარდეროებს დელიკატურ ელფერს შესძენს და რაც ყველაზე მთავარია, ძალიან მოუხდება რუჯსა და საზღვაო სეზონს.




**ARTDECO**
ფრჩხილის ღია
ვარდისფერი ლაქი
**Lutecia**





**KARLA COLLETTO**
მთლიანი საცურაო კოსტიუმი ფოჩებით
690₾
**net-a-porter.com**



**FRAME**
ზამშის შორტი სარტყელით
1 290₾
**net-a-porter.com**



**SALOME GHVINIASHVILI**
მინიმალისტური კაბა
მეტალიკის აქცენტებით
350₾



**TARYN**
Statement საყურე
რკალისებრი
თვლებით
21₾
**chicos.com**



**LANCOME**
თვალის „ჩრდილების“
ნაკრები ყავისფრის
გრადაციებში
121₾
**lancome-usa.com**



**CURRENT ELLIOTT**
მაღალწელიანი გაშვებული
ჯინსი ვინტაჟურ სტილში
580₾
**net-a-porter.com**




**CALVIN KLEIN**
კლასიკური საათი
ტყავის
სამაჯურით
**Arttime**



**AKA NANITA**
ქვედაბოლო
ასიმეტრიული
დეტალებით
540₾



**ZARA**
მინიჩანთა ჯაჭვის
საკიდით
99₾



**JIMMY CHOO**
მაღალქუსლიანი სანდლები
მეტალის დეტალებით
2 420₾
**farfetch.com**







**JIL SANDER S/S 2017**

**LOEWE S/S 2017**

**LOEWE S/S 2017**

**TEYO S/S 2017**

FASHION

# Pool PARTY



ივნისი საზღვაო სეზონის „გენერალური რეპეტიციაა“. ზაფხულის პირველ თვეს, მზიანი ამინდების მიუხედავად, უმეტესობა ქალაქიდან გასვლას ვერ ახერხებს და სწორედ ამიტომ განსაკუთრებით აქტუალური ხდება აუზზე სტუმრობა



**LINDA FARROW**
მრგვალი ფორმის სათვალე ოქროსფერი მეტალის დეტალებით
570₾
**net-a-porter.com**



**ZARA**
მთლიანი საცურაო კოსტიუმი ეგზოტიკური პრინტით
89₾

გაგრილებასა და გარუჯვასთან ერთად, ქალბატონები ივნისისთვის ახალ ტრენდულ აქსესუარებსაც იმარაგებენ და სეზონური გარდერობის გადახალისებაზეც ზრუნავენ. სწორედ ამიტომ, HELLO!-მ თქვენთვის **საზაფხულო MUST HAVE**-ების მოდური ნაკრები შეადგინა – **ფერადი პარეოები** და **სარაფნები**, **ჩალის ჩანთები**, **სანდლები**, **შლაპები** და **სამკაულები**.



**ZARA**
დაწნული ზურგჩანთა „ელვიანი“ ჯიბით
99₾




**FABERLIC**
ვარდისფერი ტუჩსაცხი მატეს ეფექტით
**faberlic.com**




**NUXE**
ტანის სურნელოვანი ზეთი მბზინვარე ეფექტით
**GPC**




**FABERLIC**
წყალგამძლე ტუში მაქსიმალური მოცულობისთვის
**faberlic.com**



**ZARA**
ჩალის შლაპა
საზაფხულო ფერებში
69₾



**MAC**
ღია ვარდისფერი
ტუჩსაცხი
50₾
**maccosmetics.com**



**TOPSHOP**
მკვეთრი ყვითელი
ფერის
საცურაო კოსტიუმი
60₾



**KIINI**
საცურაო კოსტიუმი
საზაფხულო ფერებში
640₾
**net-a-porter.com**



**TOPSHOP**
საზაფხულო კომბინეზონი
ყვავილებიანი პრინტით
90₾



**MAC**
წამწამების ტუში
იდეალური ფიქსაციით
55₾
**maccosmetics.com**




**KILIAN**
ექსკლუზიური
ლიმიტირებული
გამოცემის
სუნამო
**AROMATEQUE**



**ZARA**
საზღვაო სანდლები
ფერადი ბისერებით
99₾




**HAWAIN TROPIC**
ტანის კრემი ინტენსიური
ნამზეურისთვის
15₾
**amazon.com**




**FABERLIC**
მზისგან დამცავი კრემი
დამატენიანებელი ფუნქციით
**faberlic.com**




**LANCOME**
ტანის ფერი
შოკოლადისფერირუჯისთვის
70₾
**amazon.com**



**SENSI STUDIO**
ჩალის ჩანთა საზაფხულო
პრინტებით
535₾
**net-a-porter.com**

FASHION

# Eco friendly fashion HOT LIST

მოდა და ეკოლოგია ერთმანეთს უკვე რამდენიმე წელია საკმაოდ მჭიდროდ დაუკავშირდა. სამოსის შექმნასთან ერთად, ბოლო პერიოდში უამრავმა ბრენდმა შეითავსა გარემოზე ზრუნვა და ამ თემაზე მასშტაბური კამპანიებიც წამოიწყო. ბუნებასთან ჰარმონია და ECO FRIENDLY სამოსის შექმნა სხვებთან ერთად STELLA MCCARTNEY-სა და H&M-ის პრიორიტეტადაც იქცა. HELLO!-მ ცხადია ამ ტენდენციას ფეხი აუწყო და ყველაზე მოდური და გარემოზე ორიენტირებული ბრენდების ნაკრები შეადგინა





## AMOUR VERT

პარიზული ბრენდის კონცეფციას მარტივად გაშიფრავთ, თუ დასახელებას დააკვირდებით. „მწვანე სიყვარული“ – სწორედ ასე ითარგმნება ფრანგულიდან **AMOUR VERT**. გარდა იმისა, რომ კომპანია უარს ამბობს ქიმიური საღებავების გამოყენებაზე, ბრენდის საიტიდან შეძენილი თითო ნივთიდან შემოსული თანხით საფრანგეთში ერთი ახალი ხე ირგვება.



# RAQUEL ALLEGRA

ქაშმირი, ფრანგული აბრეშუმი და ნატურალური კოტონი – ამერიკელი დიზაინერი სამოსს ყველაზე დელიკატური და ჰაეროვანი ფაქტურებისგან ქმნის. მოდის რედაქტორების, ბლოგერებისა და სელებრითების საყვარელი ბრენდი რაკელ ალეგრამ 2009 წელს დააფუძნა, დღეს კი მისი კოლექციები მსოფლიოს გარშემო 200-ზე მეტ ბუტიკში იყიდება. **RAQUEL ALLEGRA**-ს სავიზიტო ბარათი მცენარეული საღებავებით შექმნილი თვალისმომჭრელი ორნამენტები და ეკოლოგიურად სუფთა ნაქსოვი სამოსია.



# GYPSY05

ტექსტილის შექმნის ტრადიციული მეთოდებითა და ეთნოდეტალებით შთაგონებული ბრენდი ამერიკელმა და-ძმამ ოჯახურ ბიზნესად აქციეს. 2005 წელს დაფუძნებული **GYPSY05** სამოსთან ერთად ფეხსაცმელს, სამკაულებსა და სხვადასხვა აქსესუარსაც გვთავაზობს.



# THE HIP TEE

ესპანური ბრენდი ვინტაჟური სტილისა და თანამედროვე Casual-სტილის სინთეზით პრინტებსა და ფერებზე ორიენტირებულ BASIC სამოსს ქმნის. ყოველდღიური ტოპები, კაბები და საზღვაო აქსესუარები ორიგინალურსა და უნიკალურთან ერთად, საკმაოდ ხელმისაწვდომი და მოდურიცაა. განსაკუთრებით პოპულარული კი **HIP TEE**-ს საცურაო კოსტიუმების ხაზია.







# H&M CONSCIOUS

სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ დემოკრატიული ბრენდები გარემოზე ორიენტირებულნი არ არიან, **H&M**-მა რამდენიმე წლის წინ დაამსხვრია. უმსხვილესმა შვედურმა კომპანიამ ECO FRIENDLY სამოსის მუდმივად განახლებადი და საკმაოდ ხელმისაწვდომი ხაზი შექმნა.



# Secret



FASHION

# Garden

თბილისიდან არც ისე შორს და ამავდროულად დედაქალაქის ხმაურისგან სრულიად მოწყვეტილ ადგილას, სრული სიმშვიდე სუფევს. ეს პირველი ქართული შატოა, რომლის საქმიანობა ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლის – ივანე მუხრანბატონის მიერ შექმნილი მეღვინეობის უნიკალური ტრადიციის გაგრძელებას ეფუძნება. მუხრანის ცნობილი შატო ივნისის ნომრის მოდურ ობიექტივში მოექცა. HELLO!-მ ისტორიული მამული გლამურული ფოტოსესიის ლოკაციად გარდაქმნა და თანამედროვე ქალბატონი მეფურ წარსულში ამოგზაურა.



*ისტორიულ მამულში გასეირნება და ულამაზესი სასახლე კიდევ უფრო ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ როგორი იყო შატოს ცხოვრება ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლის – ივანე მუხრანბატონის მოღვაწეობის დროს.*

**კაბა, პიჯაკი და მინიჩანთა**
**ELISABETTA FRANCHI**



*საფერავი, რქაწითელი სუპერიორი, თავკვერი როზე, მუსკატი და საიდუმლო კოლექცია – სწორედ ამ სახეობებით იწყება შატოს სტუმრის ღვინოსთან ნაცნობობა. დღეს „შატო მუხრანის“ ისტორიულ მარანში 17 სახეობის ღვინო ინახება. მათი დაჭაშნიკება განსაკუთრებით სასიამოვნოა მაშინ, როდესაც რესტორანში „სამეფო მარანი 1878“, შეფმზარეულის მიერ გათანამედროვებულ, ტრადიციულ ქართულ კერძებს მივირთმევთ.*




კაბა და მინიჩანთა
ELISABETTA FRANCHI

ელექტროსიგარეტი
ღრუბელი


CHÂTEAU
MUKHRANI



*ჯერ კიდევ 1876 წელს ივანე მუხრანბატონმა საფრანგეთში მოგზაურობისას შატოს კონცეფცია შეისწავლა და საქართველოში მისი დანერგვა დაიწყო. 1878 წელს საქართველოში პირველი ბოთლის ღვინო სწორედ ისტორიულ შატოში ჩამოისხა. 2002 წელს „შატო მუხრანის" აღდგენის პროცესი დაიწყო, 2007-ში კი პირველი მოსავალი მოვიდა. დღეს „შატო მუხრანის" მარანში ყველაზე ძვირფასი ღვინო სწორედ 2007 წლის მოსავლის საფერავია.*

**ფოტო**: ლეკო ჭყონია
**მაკიაჟი**: TAKOKOPADZE_MAKEUP
**ჩაცმულობა**: მაღაზია PODIUM
**ელექტროსიგარეტი**: ღრუბელი
**ლოკაცია**: შატო მუხრანი

პიჯაკი
**Elisabetta Franchi**


რეკლამა
faberlic
faberlic.com
#Final touch
#Fun
#Joy
#lolly
#Beauty
BOX
გახდი საზაფხულო
წვეულებების ვარსკვლავი
მაშა ვეი
წარმოგიდგენთ
მაკიაჟის ახალ
კოლექციას

BEAUTY

# Summer Glow

ფოტო: GURAM MURADOVI. მაკიაჟი: LANA MATAKHERIA.
მოდელი: YARA UKRAINA.

Summer Make Up როგორც წესი მინიმალიზმისა და ბუნებრივობის სინთეზს გულისხმობს. ამ სეზონზე გირჩევთ აქცენტი თვალის „ჩრდილებსა“ და კანის ბუნებრივ, ერთგვაროვან ტონზე გაამახვილოთ

ზაფხულის კიდევ ერთი HOT-ტენდენცია Organic კოსმეტიკაა – ნატურალური კომპონენტებით გაჯერებული ტონალური კრემები და რუჟები ბუნებრივ Sun-Kissed ელფერს მოგანიჭებთ, ოქროსფერი თვალის „ჩრდილები“ კი იდუმალ გამოხედვას. რაც შეეხება ტუჩებს, გირჩევთ გამოიყენოთ ღია ვარდისფერი ტუჩსაცხი მბზინვარე ეფექტით. HELLO! ნატურალური კოსმეტიკის წამყვანი ბრენდის, DR. HAUSCHKA-ს სეზონის MUST HAVE პროდუქციას გაგაცნობთ.




მაკიაჟის ფუნჯების პროფესიონალური ნაკრები
**LANKA MAKE UP**




სახის გამწმენდი რძე, რომელიც ნატურალური კომპონენტებითაა გამდიდრებული.

ზეთის სტრუქტურის ტონერი თქვენი კანის სიჯანსაღისა და ბუნებრივი სიგლუვისათვის

ვარდისა და იაპონური ცვილის კომბინაცია- ტუჩის ლაინერი იდეალურ ტონში




სტაფილოსა და ნუშის ზეთისა ბაზაზე დამზადებული ტუჩსაცხი







შავი ჩაის ბაზაზე დამზადებული ტუში

მინერალებით მდიდარი თვალის ჩრდილების ნაკრები

ქლქოსის ზეთის შემცველი ტონალური კრემი

მატის ეფექტის ტუჩსაცხი მაქსიმალური მოცულობისთვის

თვალის ლაინერი ბუნებრივი ფიქსაციისთვის

თვალის ჩრდილი მინერალური პიგმენტებით



2017 წლის ზაფხულისათვის სადა და მინიმალისტური მაკიაჟია მოდური, მბზინვარე თვალის ჩრდილებსა და ტუჩის ბუნებრივ ტონზე აქცენტებით



60




**ქალბატონთა 60%** მიიჩნევს, რომ შრატის ყოველდღიური გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ნაოჭების გაჩენის საფრთხეს. ამ მოსაზრებას დერმატოლოგებიც ადასტურებენ და გვირჩევენ შრატი დამატენიანებელი კრემის გამოყენების წინ, ყოველ დილას წავისვათ.

**LIERAC MESOLIFT SERUM, GPC**

BEAUTY

# Eco beauty in numbers

## სახის კანის, სხეულისა თუ თმის მოვლის საკითხებში ნატურალური კოსმეტიკა და ორგანულ მასალაზე დამზადებული პროდუქცია ყოველთვის გამორჩეულად ეფექტური და ჯანსაღია

ბუნებრივი კომპონენტებით გაჯერებული სახის კრემები, ნიღბები თუ სურნელოვანი ზეთები უამრავი ქალბატონისთვისაა სილამაზის მთავარი საიდუმლო. სწორედ ამიტომ, HELLO!-მ თქვენთვის ORGANIC თავის მოვლის  საშუალებების საოცრად ეფექტური ნაკრები შეადგინა.

91

იცოდით, რომ **ქალბატონთა 91%-ს მშრალი კანის პრობლემა აწუხებს?** ამ დილემიდან საუკეთესო გამოსავალი ცხადია ინტენსიური დამატენიანებელი საშუალებებია. გამოსცადეთ ბუნების ძალა საკუთარ თავზე – გამოიყენეთ ორგანული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია და თქვენი კანი საოცრად გლუვი და ჯანსაღი გახდება.

**TTE LOST EXPLORER TRAVELERS BALM**







**უამრავი ქალბატონისთვის საყვარელი და შეუცვლელი ნივთი** – ტუჩსაცხი, გასაყიდად პირველად 1923 წელს გამოჩნდა. დღეს კი, თითქმის 100 წლის შემდეგ, ზაფხულისთვის ღია ვარდისფერი ტუჩსაცხებია მოდური.

**DR. HAUSCHKA MANDEVILLA LIPSTICK**
**DR. HAUSCHKA BUSH PLUM LIP GLOSS**

1923




## 27

**27 წელი სწორედ ის ასაკია**, როდესაც ქალბატონებმა ნაოჭების პრევენციაზე ზრუნვა უნდა დაიწყონ. აუცილებლად გამოიყენეთ კრემი, რომელიც თვალის გარშემო მიდამოს ულტრაიისფერი სხივებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისგან დაიცავს.

**DR. HAUSCHKA DAILY HYDRATING EYE CREAM**




## 45

**ქალბატონების 45% მიიჩნევს**, რომ ჯანსაღი და გლუვი სახის კანი სილამაზის მთავარი საიდუმლოა. გამოყენეთ ინტენსიური დამატენიანებელი კრემი, რომელიც გამდიდრებულია ნატურალური კომპონენტებითა და ანტიოქსიდანტებით.

**DOCTEUR RENAUD CARROT RADIANCE BOOST DAY CREAM, GPC**




## 36

**იცოდით, რომ 36 წლის სუპერმოდელი – ჟიზელ ბუნდჩენი** თმას თითქმის არასდროს ივარცხნის? ბრაზილიელი ლამაზმანი ბუნებრივობის მომხრეა და როგორც თავად აცხადებს, იდეალური ვარცხნილობისთვის მხოლოდ ნატურალურ შამპუნსა და კონდიციონერს მოიხმარს.

**DAVINES ALCHEMIC CONDITIONER**
**DAVINES ALCHEMIC SHAMPOO**




## 160

**თანამედროვე კოსმეტიკური ინდუსტრიის** წლიური ბრუნვა 160 მილიარდ დოლარს შეადგენს, თქვენი გარეგნობა კი შეუფასებელია! გაანებივრეთ საკუთარი თავი ჯანსაღი პროდუქციით, განსაკუთრებით დიდი ყურადღება კი თმის მოვლას დაუთმეთ – გამოიყენეთ ვიტამინებითა და ორგანული კომპონენტებით გამდიდრებული ზეთი, რომელიც მოცულობასთან ერთად, თქვენი თმის იდეალურ მბზინვარებაზეც იზრუნებს.

**MOROCCANOIL TREATMENT FOR ALL HAIR TYPES, PROF BEAUTY**
**PHYTO INTENSE NUTRITION SHINE OIL, GPC**







## 12

**DD კრემი**, ძლიერი ანტიოქსიდანტის გარდა, გამონაბოლქვისა და მავნე გარემო ფაქტორებისგან კანის დამცავი იდეალური საშუალებაცაა. გამოსცადეთ ამ ჯადოსნური პროდუქტის ძალა საკუთარ თავზე – თქვენი კანი 12 კვირაში საგრძნობლად გლუვი და ჯანსაღი გახდება.

**NUXE DAILY DEFENSE MOISTURIZING & BEAUTIFYING TINTED CREAM, GPC**



BEAUTY

# Natural BEAUTY

**ქალბატონების მომხიბვლელობისა და სილამაზის მთავარი საიდუმლო უპირველესად სახის ჯანსაღი და გლუვი კანია. ასაკის მატება და მავნე გარემო ფაქტორების ზემოქმედება ყველაზე მძაფრად სწორედ სახის კანზე აისახება**

უამრავი ქალბატონი ოცნებობს შეუმჩნეველი ჩარევის წყალობით მაქსიმალურად დიდხანს შეინარჩუნოს ახალგაზრდა იერი და მოვლილი კანი.

წამყვანი გერმანული კომპანია **MERZ AESTHETICS** ბოტულინო–ტოქსინის ერთადერთ გასუფთავებულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც განსაკუთრებული ტექნოლოგიითაა დამზადებული და სწორედ ისეთ ბუნებრივ შედეგს იძლევა, როგორზეც მილიონობით ქალბატონი ოცნებობს. **XEOMIN**-ი, როგორც ბოტულოტოქსინი, მხოლოდ სამიზნე კუნთს თიშავს და არ ხასიათდება ირგვლივ მდებარე ქსოვილების დიფუზიით. შესაბამისად, არ კარგავთ მიმიკას.

**XEOMIN**-ის უნიკალური შემადგენლობის წყალობით, პროცედურა სრულად გამორიცხავს ყოველგვარ არასასურველ რეაქციასა და გვერდით მოვლენას. არის აბსოლუტურად კომფორტული და უმტკივნეულო. მისი გამოყენება შეგვიძლია როგორც სახეზე, ისე დეკოლტეს მიდამოში.

***„ფარმადეკოს“*** *აფთიაქი, ესთეტიკური კაბინეტი*
*ი. აბაშიძის ქ. 41, თბილისი*
*ტელ.: 0322 145 000; მობ.: 577 477 903*




ბოტულინო ტოქსინი
**XEOMIN,**
**MERZ AESTHETICS**



BEYONCE WEARING
I'M WITH THE BAND

# ncLA
LOS ANGELES

ამერიკული ფრჩხილების მოვლის ბრენდი,
რომელიც მსოფლიო ვარსკვლავების რჩეულია




უმაღლესი ხარისხის მანიკურები, აბსოლუტური ბიო შემცველობა ანუ ბუნებრივი მინერალებით,მისი სტრუქტურა უნიკალურია თავისი თხელი ზედაპირითა და 21 დღიანი გამძლეობით!
ბრენდს აქვს როგორც მანიკური ასევე გელ ლაკი ანუ შილაკი.
სტიკერების და დიზაინის უდიდესი არჩევანი, ასევე ნუნების მოვლის სხცადასხვა არომატის მცენარეული ზეთი, რომელიც უფრო ხანგრძლივად ანარჩუნებს მოვლილ ფრჩხილებს და აქვს სამკურნალო თვისებები, ასევე ბრენდი ენსიელეი გვთავაზობს ხელის და ფეხის სკრაბს და კრემს ანტიასაკობრივი თვისებებით!

ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
ნატალი ჯგუფი,გაკეთებაც და შეძენაც შეგიძლიათ:
ნატალი ველნეს ლაბში
მის: კოსტავას N67, თბილისი
ტელ: 2365757

გელ ლაკი
GEL POLISH







გელ ლაკი რომელიც
21 ახანგრძლივებს ლაკის
შენაჩუნებას.
(არ საჭიროებს UV/LED ლამფას)




Travel Kit




ხელის მოვლა
HAND CREAM AND SCRUB




ფრჩხილის მოვლა
TAKE IT OFF




NAIL WRAP
ფრჩხილის სტიკერი




ნუნების მოვლა
SO RICH COLLECTION



RACHEL
MCADAMS
WEARING JENNA'S
NUDE MOON

EST. 1995
NATALI GROUP
HEALTH AND BEAUTY








თმის ზრდის
ლაზერული ქუდი
**IGROW**

BEAUTY

# The end of Hair Loss

თმის ცვენა სწორედ ის დელიკატური პრობლემაა, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად პროგრესირებს და თანაბრად აწუხებს როგორც ქალბატონებს, ასევე მამაკაცებს




**დიანა პაპასკირი**
პლასტიკური ქირურგი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

არასწორი კვება, სტრესი, მავნე გარემო ფაქტორები და ვარცხნილობის ხშირი ცვლილება ის ფაქტორებია, რომლებიც ცვენის ინტენსივობას კიდევ უფრო ამძაფრებენ. იმის გამო, რომ თმის ცვენის შეჩერებასთან დაკავშირებით უამრავი არასწორი მითი და რეკომენდაცია არსებობს, HELLO!-მ გადაწყვიტა ყველაზე მარტივი, ეფექტური და კომფორტული მეთოდი გაგაცნოთ, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ.

**iGrow** თმის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სისტემაა. იგი ეფუძნება **LLLT ტექნოლოგიას**, რომელიც აერთიანებს თმის ფოლიკულების გასააქტიურებლად საჭირო ოპტიმალური სიგრძის ლაზერულ და სინათლის სხივებს. **iGrow** უზრუნველყოფს მთლიანი სკალპის ერთდროულ დაფარვას. მისი გამოყენება უსაფრთხოა სახლის პირობებში, ოფისში და მოგზაურობის დროს. ტესტირებამ დაამტკიცა, რომ **iGrow**-ს **LLLT სისტემის** გამოყენებას არანაირი გვერდითი ეფექტი არ გააჩნია.

**iGrow** არ მოითხოვს ხელით მართვას. უბრალოდ, მოითავსეთ იგი თავზე, აირჩიეთ 5-დან ერთი-ერთი პროგრამული სესია, მოკალათდით მოხერხებულად და მოდუნდით. ამავდროულად, შეგიძლიათ უსმინოთ მუსიკას iPod-ით ან MP3 ფლეიერით.

თმის გაჯანსაღება მკვეთრად შესამჩნევია 24 კვირაში, ანუ 6 თვეში.

***HAIRLINE INTERNATIONAL***
*რევაზ ლაღიძის ქ. 8, თბილისი*
*+ 995 322 30 00 30*
***www.hairline.ge***

# თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

---

## Scientific Center For Hair Transplantation

---

HAIRLINE INTERNATIONAL
რევაზ ლაღიძის ქ. 8, თბილისი
+ 995 322 30 00 30
www.hairline.ge



FITNESS

# Happy Workout

ჯგუფური ვარჯიშების უპირატესობები წონის ინტენსიურ კლებასა და სხეულის მოდელირებასთან ერთად, კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრივილეგიას გულისხმობს – კოლექტიური აქტივობები, ეფექტურთან ერთად, საკმაოდ მხიარულიცაა, თანაც გუნდურ ჩართულობას მიღებული შედეგის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება შეუძლია

მაშ ასე, HELLO! წარმოგიდგენთ წონაში კლებისა და სხეულის გაჯანსაღების ყველაზე ეფექტური, მარტივი და ხალისიანი მეთოდების ნაკრებს.

## სპინინგი

თუ საზაფხულოდ გარეგნობის მოსაწესრიგებლად ყველაზე იოლ და მხიარულ გზას ეძებთ, მაშინ აუცილებლად გირჩევთ აქტიურად დაკავდეთ სპინინგით. საკმაოდ სახალისო ვარჯიში, რომელიც ველოტრენაჟორებზე სხვადასხვა სირთულის ვარჯიშების შესრულებასა მათ მონაცვლეობას გულისხმობს, მწვრთნელის მეთვალყურეობით მიმდინარეობს. იმის გამო, რომ სპინინგის მთავარი პრინციპი ჯგუფური აქტივობაა, წონაში კლებასა და სხეულის ფორმების მოდელირებასთან ერთად, დროსაც საკმაოდ მხიარულად ატარებთ. შედეგად კი, საზღვაო სეზონისთვის იდეალურ სხეულსა და შესანიშნავ განწყობას იღებთ!



## FUNNY აერობიკა

ნებისმიერი ტიპის აერობიკა სასურველი ფორმის შეძენისა და მუდმივად ტონუსში ყოფნის საუკეთესო საშუალებაა. ფიტნესის საკმაოდ ენერგიული სახეობა რამდენიმე ეფექტურ და სახალისო მეთოდს აერთიანებს. მარტივი აერობიკა პროფესიონალი მწვრთნელის დახმარებით, სპეციალურად შერჩეული მუსიკის თანხლებით გაგამხნევებელ ვარჯიშებს გულისხმობს. STEP-აერობიკის შემთხვევაში კი, ამ ყველაფერს სპეციალური „საფეხურების“ ინვენტარი ემატება. ასევე  განსაკუთრებით სახალისოა „ზუმბა“ აერობიკა – მეთოდი, რომელიც ლათინოამერიკული ცეკვის ილეთებისა და ფიტნესის კომბინაციას გულისხმობს (ისევე, როგორც აერობიკის ნებისმიერი სხვა სახეობა), იდეალურია კუნთების ტონიზირებისა და შესანიშნავი განწყობისთვის.



ველოტრენაჟორებზე ვარჯიშების შესრულება მწვრთნელის მეთვალყურეობით მიმდინარეობს.

**OKTOPUS FITNESS CLUB**
*სანდრო ეულის ქ. 7, თბილისი*
*+ 995 322 301888*
***www.oktopus.ge***




www.facebook.com/ioverdegeo

ვერტიკალური
ბაღი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

IO VERDE



HEALTHY OPTIONS

# Eat healthy & STAY FIT

საზღვაო სეზონისთვის გარეგნობაზე ზრუნვა ივნისის თვეში განსაკუთრებით აქტუალური ხდება. ზამთარში დაგროვილი ზედმეტი კილოგრამების მოშორება და სხეულის გამკვრივება კი ფიზიკურ აქტივობასთან ერთად, ჯანსაღ კვებასაც უკავშირდება



OKTOPUS CAFE იდეალურად შედგენილ და მუდმივად განახლებად HEALTHY მენიუს გთავაზობთ.



სწორედ ამ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის ერთიანობით შეძლებთ მოკლე დროში ფორმების კორექციასა და შესანიშნავი განწყობის შენარჩუნებას. თუ კვებასთან დაკავშირებით HELLO!-ს რჩევებს მიჰყვებით, სანაპიროზე იდეალური სხეულით თავდაჯერებულად მოიწონებთ თავს.

ჯანსაღი საკვები ნებისმიერი ფიზიკური აქტივობის თანმხლები და შეუცვლელი დამხმარე ფაქტორია, რომლის გარეშე ფიტნესის ნებისმიერი სახეობა უბრალოდ წყალში ჩაყრილი ენერგიაა. ხილისა და ბოსტნეულის „სმუზები“, რძის ნაწარმის დაბალკალორიული დესერტები და პროტეინით გამდიდრებული სხვადასხვა სახის თხილეული თქვენს ყოველდღიურ ფიტნეს-რუტინას უფრო მხიარულს გახდის, ხოლო სასურველი შედეგი გაცილებით ეფექტური და მყარი იქნება.

მათთვის, ვისაც წონაში კლება და სხეულის გაჯანსაღება სურს, **OKTOPUS CAFE** იდეალურად შედგენილ და მუდმივად განახლებად **HEALTHY მენიუს** სთავაზობს. მთლიანად ჯანსაღ პროდუქტზე ორიენტირებულ კაფეში, ვიტამინებით სავსე „სმუზებსა“ და „შეიკებთან“ ერთად, დაბალკალორიული ორცხობილებითა და FRESH-სალათებითაც გაგიმასპინძლდებიან, თანაც – საკმაოდ გემრიელად. მრავალფეროვან მენიუში სპეციალურ დეტოქს-ჩაისა და ხაჭოს დესერტებსაც შეხვდებით, ასევე დააგემოვნებთ სხვადასხვა თხილეულის პროტეინებით გამდიდრებულ მიქსებს.

მარტივად რომ აგიხსნათ, **OKTOPUS CAFE** ყველა იმ აუცილებელი ვიტამინით გამდიდრებულ ჯანსაღ საკვებს გთავაზობთ, რომლის გარეშე წონაში კლება და სასურველი ფიზიკური ფორმის შეძენა უბრალოდ წარმოუდგენელია.

***OKTOPUS FITNESS CLUB***
*სანდრო ეულის ქ. 7, თბილისი*
*+ 995 322 301888*
***www.oktopus.ge***

# აგროჰაბი

## აგროჰაბის მარნის ღვინოები





ქართული ტრადიციული მეთოდით დამზადებული აგროჰაბის მარნის ღვინოები დანამატების გარეშე

- უსახელოური
- ხვანჭკარა
- ოჯალეში
- საფერავი, ქვევრის საფერავი
- წარაფი
- მანავის მწვანე
- ევროპული რქაწითელი, ქვევრის რქაწითელი
- წინანდალი
- ქინძმარაული

მარშალ გელოვანის გამზ. 22, თბილისი (+995) 032 244 07 07 fb.com/agrohubge agrohub

HEALTHY OPTIONS

# Juice it UP!

**ვინაიდან ივნისის ნომერი Bio Friendly პოლიტიკაზეა აგებული, წარმოუდგენელია ეს თემა ჯანსაღი საკვების, ან ნატურალური წვენების გარეშე განვიხილოთ. ამჯერად ნამდვილ აღმოჩენას – „ჩეროს“ გაგაცნობთ**

„ჩერო“ ასეპტიკური ტექნოლოგიით დამუშავებული, ნატურალური წვენია, რომელიც ქართული ბაზრისთვის სიახლეს წარმოადგენს. ასეპტიკური ხაზები ჩვენი რეგიონისთვის უპრეცედენტოა. ამ ტექნოლოგიის საშუალებით, ნედლეულის ცივად დამუშავება ხდება, რის შედეგადაც პროდუქტში არ ხვდება კონსერვანტები. წვენი აბსოლუტურად ნატურალურია, მასში შენარჩუნებულია ყველანაირი ვიტამინი, გემო, და სასარგებლო თვისებები. „ჩეროს“ წვენები განსაკუთრებით მოსახერხებელია მათთვის, ვინც დატვირთული გრაფიკის გამო, საჭირო რაოდენობით ხილს ვერ მიირთმევს. მარტივია აირჩიოთ ნატურალური წვენი და იგივე ეფექტი მიიღოთ, რომელსაც რამდენიმე ვაშლის, ან მანგოს მირთმევის შედეგად მიიღებდით.






*ხილის ნატურალური წვენი აძლიერებს ყველა ორგანოს ფუნქციას და რეკომენდებულია დაკარგული ენერგიის აღსადგენად*

SIRAJKHANA

wine restaurant

# Original Georgian - Persian Cuisine

The place, where you can discover original food & finest Georgian and international wine varieties.




wine restaurant

Orbeliani st. 10, Tbilisi, Georgia

+995 322 244 999



TRAVEL

# Time Out

როცა საქმე დასასვენებელ ადგილებს ეხება, არჩევანი ძალიან ძნელია. ყველაფერი კიდევ უფრო რთულდება, თუ მეგობარი, თანამშრომელი ან უცხოელი სტუმარი ჩვენს იმედზეა და გადაწყვეტილებაში ბრმად გვენდობა. HELLO! პრობლემას მარტივად გადაგიჭრით და წარმოგიდგენთ სამ ყველაზე ეკომეგობრულ ლოკაციას, რომელიც განტვირთვაში, სიამოვნების მიღებასა და „გემრიელობების“ დაგემოვნებაში ერთდროულად დაგეხმარებათ





## TIFLIS VERANDA

არაფერია იმაზე სასიამოვნო, ვიდრე ლანჩის დაგემოვნება ვერანდაზე, რომელიც თბილისის ყველაზე ლამაზი და უნიკალური ხედით გამოირჩევა. მით უმეტეს, როცა იგივე ადგილი დღის ნებისმიერ მონაკვეთში იდეალურია როგორც გვიანი საუზმისთვის, ისე საქმიანი თუ საზეიმო ვახშმისთვის, დესერტსა და ცხელ ჩაიზე შესახვედრად, და საღამოობით კოქტეილებისა თუ ჭიქა ღვინის დასაჭაშნიკებლად.

საუბარია **TIFLIS VERANDA**-ზე, რომელიც თავს სულ სხვა განზომილებაში გაგრძნობინებთ და ყველაფერთან ერთად განტვირთვაშიც დაგეხმარებათ. თუ საყვარელი ადამიანის დაპატიჟება ან უცხოელი სტუმრისთვის თავის მოწონება გსურთ, უკეთეს ლოკაციას ვერსად მონახავთ. აქედან იშლება ხედი თბილისის უმნიშვნელოვანეს ღირსშესანიშნაობებსა და ქალაქის მთავარ კულტურულ და ისტორიულ ძეგლებზე. თანაც, რესტორნიდან 17 ეკლესია ერთდროულად მოჩანს!

ხედს რომ თავი გავანებოთ, გაოგნებულს დაგტოვებთ ინტერიერიცა და ექსტერიერიც, რომელიც გამწვანებით გამოირჩევა. ეკოლოგიურად სუფთაა მენიუც, რომელიც საერთო შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აუმჯობესებს. რაც მთავარია, აქ მარტო მოსვლის შემთხვევაშიც განუზომელ სიამოვნებას მიიღებთ და მთელი არსებით შეიგრძნობთ, რომ ცხოვრება მშვენიერია, როცა ასეთ ჯადოსნურ გარემოში ამგვარი საოცარი „გემრიელობებითა“ და ხედით ტკბობა შეგიძლიათ. სხვათა შორის, სულ მალე, განახლებული საზაფხულო ლაუნჯ-ტერასებიც გაიხსნება, რაც კიდევ უფრო მეტ მიზეზს მოგცემთ იმისთვის, რომ არჩევანი სწორედ ძველი თბილისის შუაგულში მდებარე **TIFLIS VERANDA**-ზე შეაჩეროთ.

გორგასლის ქ. 3, თბილისი
***ტელ.:*** *(+995) 0322 322 000 245*

**ტექსტი:** ელენე მარგალიტაძე. **ფოტო:** TIFLIS VERANDA





# CORAL BOUTIQUE HOTEL

ᲗᲣ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ თბილისის ყველაზე ცხელ ტურისტულ სივრცეში ეძებთ, ახალ აღმაშენებელზე მდებარე სასტუმრო **CORAL BOUTIQUE**-ს გირჩევთ. ეს კომფორტული სასტუმრო პრესტიჟული უბნის პირდაპირ ცენტრში – ახალ რესტორნებს, ბარებსა და მაღაზიებს შორის მდებარეობს და ყველა საჭირო ობიექტისგან მხოლოდ 5 წუთის სავალზეა დაშორებული. 26-ვე ნომერი, რომელიც სტუმრებს ემსახურება, სიმყუდროვით, კომფორტულობითა და საოცარი დიზაინით გამოირჩევა და გულგრილს არავის ტოვებს. მოიხიბლებით მომსახურე პერსონალის მეგობრული და თბილი დამოკიდებულებითაც, რაც თავს ისე გაგრძნობინებთ, როგორც საკუთარ სახლში.

სასტუმრო **CORAL BOUTIQUE**-ში ყოველთვის მრავალფეროვანი ხალხი ირევა, რაც კიდევ უფრო საინტერესო ატმოსფეროს ქმნის. ტრანსფერი, მანქანის გაქირავების სერვისი, ტურები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, გიდის მომსახურება, საუცხოო
ბარ-რესტორანი – აქ ყველაფერია, რაც თავგადასავლებითა და სიცოცხლით ტკბობაში დაგეხმარებათ.






უზნაძის ქ. N113ბ, თბილისი
***ტელ.:*** *(+995) 0322 322 430 113; (+995) 0322 430 115*

**ᲢᲔᲥᲡᲢᲘ:** ᲔᲚᲔᲜᲔ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ. **ᲤᲝᲢᲝ:** CORAL BOUTIQUE HOTEL





# მგზავრები გონიო

ზღვის სეზონის დადგომასთან ერთად, აქტუალური ხდება სანაპირო ლოკაციებიც. მათ შორის HELLO!-მ **„მგზავრები გონიო“** გამოარჩია, რომელიც შავიზღვისპირა კურორტის პირველ სანაპირო ზოლშია განთავსებული და სტუმრებს ჯადოსნურ და ჰარმონიულ, ეკომეგობრულ გარემოს სთავაზობს. აქ ერთმანეთს ერწყმის მთისა და ზღვის ჰავა, გურმანებისთვის კი მრავალფეროვანი არჩევანია – „რესტორანი ტერასა“ ქართული ტრადიციული და ევროპული მენიუთი გიმასპინძლებთ; „ბუნგალო ბარი“, რომელიც სასტუმრო კომპლექსის ცენტრში მდებარეობს, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების მრავალფეროვნებით გამოირჩევა; **„მგზავრების რესტორანში“** საუკეთესო აჭარული ხაჭაპური მზადდება; „კონტეინ ბარი“ კი, რომელიც პირდაპირ სანაპიროზეა განთავსებული, სასტუმროდან გაუსვლელად გეხმარებათ „ზღვიური“ ცხოვრებით ტკბობასა და ცივი სასმელების, ნაყინის, ჰოთ-დოგებისა და სენდვიჩების დაგემოვნებაში.



ყველა ზემოთ ჩამოთვლილს საღამოობით ემატება ანიმატორთა გუნდი, დიჯეი და კინოჩვენება ღია ცის ქვეშ. დასვენება კიდევ უფრო სასიამოვნოა, როცა სასტუმროს კომფორტული ნომრებიდან და ყველა აივნიდან ზღვის ხედი იშლება. დამატებით კომფორტს ქმნის აუზიც, რომლის წყალი გრილ ამინდებში სპეციალურად თბება, რათა განტვირთვა ნებისმიერ დროს შეძლოთ.

**„მგზავრები გონიო“**, რომელიც „მგზავრების“ სასტუმროთა ცნობილი ქსელის ნაწილია, საკმაოდ სწრაფად ვითარდება და მისი ინფრასტრუქტურაც სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. რაც მთავარია, აქ საკუთარი ნომრის შეძენაც შეგიძლიათ, თანაც – თვეში 280$-დან, შემოსავლის დადასტურებისა და დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე! მოკლედ, **„მგზავრები გონიო“** აერთიანებს ყველაფერს, რაც თქვენი ბედნიერებისთვის, განტვირთვისა და დასვენებისთვისაა საჭირო.

***ტელ.:*** *(+995) 0322 478 747*
*(+995) 557 555 000*
www.mgzavrebi.ge







**ტექსტი:** ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო:** მგზავრები გონიო

# vismino




ღვინო შექმნილი ბგერის ჰარმონიით

vismino
Georgian Wines and Spirits Company

fb.com/vismino

DECOR

# ეკომეგობრული დეკორი

## როდესაც „ეკომეგობრულ თემებზე“ ვსაუბრობთ, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გავამახვილოთ იმ გარემოზე, რომელშიც ყოველდღიურად ვცხოვრობთ

ეკომეგობრული ინტერიერი ნელ-ნელა უფრო მნიშვნელოვანი, პოპულარული და განხილვადი ხდება, რაც მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურ ცვლილებებზე მიგვანიშნებს. ვერტიკალური გამწვანება აღნიშნული ტენდენციის ყველაზე ნათელი და საუკეთესო მაგალითია...

უკვე რამდენიმე ათწლეულია, „დაკიდული ბაღები“ დიდ პოპულარობას იძენს და ინტერიერის დიზაინის განუყოფელი ნაწილი ხდება. ვერტიკალურ გამწვანებას სხვაგვარად ფიტოდიზაინსაც უწოდებენ და მას დეკორის აუცილებელ ელემენტად მოიაზრებენ.

თავდაპირველად, ვერტიკალური გამწვანების მთავარი მიზანი ოთახში ჟანგბადის რაოდენობის გაზრდა, ატმოსფეროს გაჯანსაღება, ზედმეტი ხმაურის შემცირება და მავნე აირების გაფილტვრა იყო. თუმცა ინტერიერის დიზაინერები მალევე მიხვდნენ, რომ ამ ჯადოსნური იდეის გამოყენება დეკორატიული მიზნებითაც შეიძლებოდა. სწორედ ასე დაიბადა ახალი, ლამაზი და დღეისათვის წარმოუდგენლად მოთხოვნადი ტრენდი – ფიტოდიზაინი, რომელიც არა მხოლოდ გონივრული გადაწყვეტილება, არამედ ხელოვნების ნიმუშიცაა.

სანამ ვერტიკალური გამწვანება სახლებში აღმოჩნდებოდა, მას შენობების გარე კედლებზე აკეთებდნენ. ამ შემთხვევაში მცენარეების ზრდასა და სიმწვანეს მზის შუქი და ხშირი მორწყვა უზრუნველყოფდა. დახურულ ოთახებში შესვლის შემდეგ კი, განსხვავებული მეთოდების გამოყენება გახდა საჭირო. ასე დაიწყო ბუნებრივი პრეზერვაცია, რომელიც გამწვანების სტაბილიზაციასა და კონსერვაციას გულისხმობს. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, მცენარეებში არსებული წვენი იცვლება სითხით, რომელიც გლიცერინსა და სხვა ბუნებრივ კონსერვანტებს შეიცავს. ეს ყვავილებს ბუნებრივ იერსა და ტექსტურას წლების განმავლობაში უნარჩუნებს.

დღეს ფიტოდიზაინს ყველგან შეხვდებით – პრესტიჟულ სასტუმროებში, გლამურულ რესტორნებსა და მოდურ მაღაზიებში. ყველა, ვინც საკუთარი სახლის გალამაზებასა და ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაზე ზრუნავს, კედლებზე სხვადასხვა ფორმისა და ზომის გამწვანებას აკეთებს და ანალოგიურ მეთოდს იყენებს ლარნაკების, სურათის ჩარჩოებისა და დეკორის სხვა ელემენტების გასაფორმებლად.



**კომპანია IO Verde ბაღებსა და ვერტიკალურ გამწვანებას ზუსტად იქ მოგიწყობთ, სადაც ყველაზე მეტად გჭირდებათ**





რასაკვირველია, ამ მშვენიერი იდეის განხორციელება მხოლოდ პროფესიონალებს უნდა მიანდოთ. იმისათვის, რომ თქვენი სახლი, ოფისი, სასტუმრო, მაღაზია თუ სალონი ნამდვილ ოაზისად გადააქციოთ, საქართველოში IO Verde არსებობს – კომპანია, რომელიც ბაღებსა და ვერტიკალურ გამწვანებას ზუსტად იქ მოგიწყობთ, სადაც ყველაზე მეტად გჭირდებათ. ეს კი პოზიტიურ ცვლილებებში თანამონაწილეობასა და ეკომეგობრულად ცხოვრებაში დაგეხმარებათ. ▶

*www.facebook.com/ioverdegeo*



*ვიდრე ვერტიკალური გამწვანება სახლებში აღმოჩნდებოდა, მას შენობების გარე კედლებზე აკეთებდნენ. ამ შემთხვევაში მცენარეების ზრდასა და სიმწვანეს მზის შუქი და ხშირი მორწყვა უზრუნველყოფდა. დახურულ ოთახებში შესვლის შემდეგ კი განსხვავებული მეთოდების გამოყენება გახდა საჭირო*





რაც შეეხება ექსტერიერს, გამწვანება აქაც ტრენდულია და ნელ-ნელა უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ბაღის ან თუნდაც აივნის ლამაზად მოწყობა დღეს ისეთივე მოდურია, როგორც სეზონური სამოსის შერჩევა. თუ გსურთ, გარემო განსხვავებულად გააფორმოთ და იშვიათი სახეობის დეკორატიული ხე-მცენარეები გამოიყენოთ, HELLO! „მწვანე სამყაროში“ მოგზაურობას გირჩევთ. ეს









*„მწვანე სამყარო“ მსურველებს ეკომეგობრული ექსტერიერის მოწყობაში იშვიათი სახეობის დეკორატიული ხე-მცენარეებით ეხმარება*

გამწვანების ესპანური გაერთიანების – „ლა ენსინა გრუპის“ შვილობილი კომპანიაა, რომელიც ჯადოსნური ბაღის მოწყობაში დაგეხმარებათ. ულამაზესი ტიტას ხეები, ყველაზე ფერადი ამბრის ხე, ირმის რქის ნაირსახეობა, მარადმწვანე ალუბალი, გლინკო ბილობა, დეკორატიული დაფნა, ალეპოს ფიჭვი, უთხოვარი და სხვ. – ასორტიმენტი დიდი და მრავალფეროვანია. თქვენ მხოლოდ ის დაგრჩენიათ, „მწვანე გადაწყვეტილებები“ მიიღოთ და სახლის ინტერიერიცა და ექსტერიერიც ედემს დაამსგავსოთ.

*fb.com/GreenWorldGeorgia*
*თბილისი-გომბორი-თელავის გზატკეცილის მე-6 კმ*

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო**: IOVERDE, GREENWORLDGEORGIA.



HALF HOUR...

# ვაიოლა დევისი

„ოსკაროსანი“ ვაიოლა დევისი, რომელმაც ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო დენზელ ვაშინგტონის FENCES-ში მონაწილეობისთვის დაიმსახურა, ჯილდოების მნიშვნელობასა და აფროამერიკელების ჰოლივუდურ ყოფაზე გვესაუბრება.

ვაიოლას ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარს, მაგრამ ამ ფაქტს ვერსად გაურბის, რაც მისი საოცარი სამსახიობო ნიჭის დამსახურებაა. ყველა ფილმი, რომელშიც მთავარ თუ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, დიდი წარმატებისთვისაა „განწირული“. ასე იყო წელსაც, FENCES-ის შემთხვევაში. სამხრეთ კაროლინაში დაბადებული ვაიოლა ცოტა ხნის წინ დიდების ხეივანზეც გამოჩნდა. ამჯერად მსახიობი ჰოლივუდურ ცხოვრებასა და საქმიანობაზე გვიამბობს...

**დაჯილდოებების სეზონმა თქვენთვის ძალიან წარმატებით ჩაიარა. თავს როგორ გრძნობთ?**

**ვ.დ.** შვებას ვგრძნობ. ასეთი პერიოდები ძალიან სტრესული, დამღლელია და მსახიობის საქმიანობასთან საერთო არაფერი აქვს – ზედმეტი დრო ეთმობა დაჯილდოებისთვის მზადებას და მნიშვნელოვან საქმეებს აკლდები. მქონია შემთხვევებიც, როცა გადაღებებზე დავბრუნებულვარ და აღმომიჩენია, რომ ჩემი სიტყვები დამავიწყდა. მოკლედ, მე მსახიობობა უფრო მომწონს, ვიდრე ჯილდოების მიღება.

**„ოსკარზე“ საკმაოდ ძლიერი კონკურენტები გყავდათ. ალბათ, ესეც სტრესული იყო.**

**ვ.დ.** ამას უკვე მივეჩვიე, მაგრამ პირადი სივრცის დაკარგვა არ მომწონს. საკუთარი თავის გარეკლამება ჩემთვის ტანჯვის ტოლფასია. იმ დღეს კაბას ვარჩევდი და ვფიქრობდი: „ეს კაბა ძალიან მომწონს, საყვარელია და არ მასუქებს“. ვიღაცამ მითხრა, რომ მართალი ვიყავი, მაგრამ ამ კონკრეტული ღონისძიებისთვის კაბა აუცილებლად ცნობილ დიზაინერთან უნდა შემეკერა. ასეთი რაღაცები ცოტა მთრგუნავს.

**რა შეფასებებს იღებთ ხოლმე აფროამერიკელი მაყურებლებისგან?**

**ვ.დ.** ისეთი ადამიანებიც შემხვედრიან, რომლებიც მსგავს თემატიკაზე გადაღებულ ფილმებს აკრიტიკებენ, თანაც ისე, რომ ხშირად ნანახიც კი არ აქვთ. ასეთი სტიგმა არსებობს: „ყველა ფილმში მოსამსახურეები რატომ ვართ? რატომ წარმოგვაჩენენ გაუნათლებელ და გაჭირვებულ ადამიანებად?“ ცუდია, როცა საკითხს შესაბამისად ვერ უღრმავდებიან. სამაგიეროდ, არიან ისინიც, ვინც ჩემს პერსონაჟებში საოცარ ადამიანებს ხედავენ და იაზრებენ, რომ ეს გმირები მათი დედებისა და ბებიების პროტოტიპები არიან.

**The Help თქვენი კარიერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამონათება იყო. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ფილმის ასეთი პოპულარობა?**

**ვ.დ.** ეს გახლავთ კარგი ფილმი ძველ დროზე, ურთიერთობებსა და საინტერესო ადამიანებზე. სიუჟეტი ამტკიცებს, რომ თანადგომით ყველაფერი შესაძლებელია.

**თქვენი ოჯახიც იყო ჩაგვრის მსხვერპლი?**

**ვ.დ.** დიახ, ჩაგვრა ბებიაჩემმაც, დედაჩემმაც და ჩემმა დეიდებმაც გამოსცადეს. მათი დამსახურებით, ზუსტად ვიცი რას განიცდიდნენ ამ თაობის აფროამერიკელები. ძალიან რთული ცხოვრება აქვთ გამოვლილი. რამდენიმე წლის წინ დედაჩემმა მენჯის ოპერაცია გაიკეთა – ხრტილი საერთოდ გამქრალი ჰქონდა, რაც ასე ახსნა: „ეს ბამბისა და თამბაქოს პლანტაციებში წლობით მუშაობის შედეგია“.

**მიგაჩნიათ, რომ აფროამერიკული წარმომავლობის გამო როლებს ლიმიტირებულად გთავაზობენ?**

**ვ.დ.** მე მგონი, ეს ყველა შავკანიანი მსახიობის პრობლემაა. ფულის დაბანდებაც „თეთრ ფილმებში“ ურჩევნიათ.

**ეს ფაქტი რამდენად გაწუხებთ?**

**ვ.დ.** ერთადერთი, რაც მინდა, ეს გახლავთ: მქონდეს ზუსტად ის შესაძლებლობები და შემოთავაზებები, რომლებიც ჩემს თანატოლ თეთრკანიან მსახიობებს აქვთ.

ტექსტი: SIMON BUTTON. ფოტო: GETTY IMAGES.


HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნანკა კიკალია

საგარეო ურთიერთობების მენეჯერი Santiago Velo
რედაქცია ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, ნინუცა მაისურაძე
სტილის რედაქტორი ელენე მარგალიტაშვილი
მოდის რედაქტორი თათია ლაშაური
მოდის სტილისტი თეონა ელიზბარაშვილი
ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი
მარკეტინგი მარიამ ზაქარეიშვილი, ნანუკა კაკაბაძე
დიზაინერის ასისტენტი ნინი ოძელაშვილი

მთავარი დიზაინერი დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL
FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008
დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: 00 995 322 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege




**რედაქციის მისამართი**: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ.**: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

# HELLO! GEORGIA

## შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია




იკითხეთ
HELLO!
მთელ მსოფლიოში
სმარტფონებზე, პლანშეტებზე და პერსონალურ კომპიუტერებზე




ჩამოტვირთეთ ქართული HELLO! მსოფლიოს უმსხვილესი დახლებიდან

ZINIO და MAGZTER

ANDROID APP ON Google play
Available on the App Store

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge






Calvin Klein
swiss made

ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge